პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 289 (9449) | სამშაბათი, 9 დეკემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში ია

ავამაღლოთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე — მოწინავე. (1-ლი გვერდი).

აკაკი ივანეს-ძე მგელაძე რეგისტრირებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — გავაუმჯობესოთ მუშაობა პროპაგანდისტთა კადრებთან (მე-2 გვერდი).

თანმიმდევრულად განვახორციელოთ შინაგარეული დემოკრატია — „პრავდის" 7/XII მოწინავე (მე-4 გვერდი).

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის (მე-2 გვერდი).

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა კორეის საკითხზე პირველ კომიტეტში 1952 წლის 1 დეკემბერს (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ავამაღლოთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოცემულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის დიადი პროგრამა. სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის შემდგომი გადიდება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის აყვანას ახალი ამოცანების დონეზე.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების, სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკის და საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევების ფართოდ დანერგვის, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების ამოცანები, რაც ახალი სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული გეგმით არის დასახული, მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს სოფლის მეურნეობისადმი, კოლმეურნეობებისადმი უფრო კვალიფიციური, კონკრეტული ხელმძღვანელობის საჭიროებას.

კოლმეურნეობებისადმი სწორი ხელმძღვანელობის აუცილებელი პირობაა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების—საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონის ტკიცედ დაცვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის დროს ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული საკოლმეურნეო ქონების მითვისება, განიავება და საკოლმეურნეო წესდების სხვა უხეში დარღვევები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ გადამწყვეტი ზომები მიიღო ამ ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკის წინააღმდეგ. დგმამარეობა ძირითადად უკვე გამოსწორებულია. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად განახორციელონ მტკიცე კონტროლი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი.

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, მეცხოველეობის პროდუქტიულობას აფასებენ საშუალო მაჩვენებლების მიხედვით. ეს საზიანოა საქმისათვის. საშუალო მონაცემებით დაკმაყოფილების დროს შეუმჩნეველი რჩება ცალკეული ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები, მათ დროზე არ ეწევათ პრაქტიკული დახმარება. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ახმეტის რაიონმა შეასრულა ცხვრის, თხის, ცხენისა და ღორის სულადობის განვითარების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა. აქ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები დაკმაყოფილდნენ რაიონული საშუალო მაჩვენებლებით და ითმენენ ისეთ მდგომარეობას, როცა რაიონს არ შეუსრულებია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა, დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა, საკმაო რაოდენობით არ მოუმარაგებიათ პირუტყვისათვის საკვები, ჩაშლის საფრთხის წინაშეა სადგომების მშენებლობის გეგმის შესრულება.

ნაკლოვანებებია კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საქმეშიც. ცნობილია, რომ წარმოო ბრიგადა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ძირითადი და მთავარი ფორმაა. მიუხედავად ამისა, ზოგან ჯეროვნად არ ზრუნავენ კოლმეურნეობებში შრომის უკეთ მოწყობისათვის. მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ გოგოთის ვორაშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ათი თვის მანძილზე საწარმოო ბრიგადა არ იყო შექმნილი. ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ნაკლებად ზრუნავენ საწარმოო ბრიგადების განმტკიცებისათვის, მოუწესრიგებელია აღრიცხვა, შრომის ანაზღაურებისას ეხდებით გათანაბრების მავნე პრაქტიკას. ამ რაიონების აღმასკომების სოფლის მეურნეობების განყოფილებათა მუშაკები სათანადო დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებს შრომის ორგანიზაციის საკითხებში.

სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან უფრო მოქნილი და ქმედითი გახადონ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, ჰქონდეთ მათთან მეტი ცოცხალი კავშირი და თავიანთ მუშაობას საზღვრავდნენ არა გადაგზავნილი ქაღალდების რაოდენობით, არამედ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულების მიხედვით. საბრძო ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩამორჩა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკები სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებებთან, კოლმეურნეობებთან ხშირი მიწერმოწერით არიან გართული, არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკებმა თავიანთი მუშაობა უნდა გარდაქმნან ახალი ამოცანების შესაბამისად.

როგორც ნაკლი, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ კოლმეურნეობაში შექმნილია ისეთი დამხმარე საწარმოები, რომლებიც ამზადებენ ადგილობრივ საშენ მასალებს: აგურს, კრამიტს, კირსა და სხვ. ამ საკითხში შეცდომები დაუშვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ და საქართველოს მთავრობამ, რომლებიც ადგილობრივ ორგანიზაციებს წინადადებას აძლევდნენ განახორციელებინათ ასეთი ღონისძიებანი. გამოცდილებამ ცხადყო, რომ ეს აძვირებს საშენ მასალათა ღირებულებას, კოლმეურნეობების ყურადღებას აცილებს მოსავლიანობის გადიდების საკითხებს და აბრკოლებს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ასეთი მასალებით კოლმეურნეობათა მომარაგება ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და სარეწაო კოოპერაციის პირდაპირი საქმეა. ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი ძალღონე მთლიანად მოხმარდეს მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობას.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ თქვა: „სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას ჩვენში ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი. პარტიის ყველა საოლქო კომიტეტი და რაიკომი როდი ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობას კონკრეტულად, დიფერენციერებულად და კვალიფიციურად. ბევრი მათგანი ხელმძღვანელობას ფარგლავს მრავალრიცხოვანი გადაწყვეტილებების გზავნით და კოლმეურნეობებში „გზად შევლით". სამაგიეროდ ისინი საკმაოდ არ მუშაობენ კოლმეურნეობების ეკონომიკის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების დაგეგმვის საკითხებზე, ღრმად და სერიოზულად არ სწვდებიან ამ საკითხებს". ამ მითითების გათვალისწინებით უნდა მივაღწიოთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაძლიერებას.

მთავრდება მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი. ამოცანა ის არის, რომ უდანაკარგოდ ავიღოთ ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავალი, შევასრულოთ 1953 წლის ხორბლის დასათესად ახალი მიწების ათვისების გეგმა, მზრალად ხვნის დავალება, სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი, ციტრუსოვანთა ნარგავები დავიცვათ ყინვებისაგან და ამთავითვე გავაჩაღოთ მზადება საგაზაფხულო თესვისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ორგანოების განმტკიცება უნარიანი, შემოწმებული კადრებით, სოფლის მეურნეობის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, მათი აღზრდა მუშაობის ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, მაღალი მომთხოვნელობა მუშაობაში, პასუხისმგებლობის გაძლიერება მინდობილი საქმისადმი—ასეთია პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ამაღლების საქმეში.

### მეხუთე სტალინური ხუთწლედის მშენებლობებზე

## ეღბაქიძის ხიდი — საშვილიშვილო ნაგებობა

რაიდენ და იოსებ ლავრენტიევილები ამაყობენ იმით, რომ პირადი წვლილი შეაქვთ ჩვენი დედაქალაქის—თბილისის კეთილმოწყობისა და გამშვენიერების საქმეში, რომ თბილისელ მშრომელთა ქმაყოფილება, რომელსაც ისინი მიიღებენ ახლადაგებულ ელბაქიძის ხიდზე გავლისას, აქ გულგახეთარებელი ნაგებობის ხილვისას, მათი შრომითი წვლილითაც იქნება გამოწვეული.

ამაყობენ მათთან ერთად ტარიელ იშნელი, გიორგი გორგიაშვილი, პეტრე ვასილენკო, გივი კვაჭაძე, ვალერიან ტუღუში, თედორე კაზანცევი, ალექსი როსტომიანი, შალვა შენგელია და მათი ამხანაგები იმიტომ, რომ ელბაქიძის ხიდი — საქართველოს დედაქალაქის დამამშვენებელი კიდევ ერთი შესანშენავი ნაგებობა, დიდხანს, დიდხანს დარჩება ჩვენი დიადი სტალინური ეპოქის ძეგლად, მტკვარზე აგებულ ყველა ხიდს შორის ულამაზეს ხიდად, საბჭოთა არქიტექტორებისა და ხიდმშენებლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად.

ელბაქიძის ხიდის პროექტი დაამუშავა ინჟინერმა გ. ჩომახიძემ, არქიტექტურული გაფორმება ეკუთვნის არქიტექტორ მ. მელიას, ხოლო მშენებლობას ანხორციელებს თბილისმშენის ტრესტის მეხუთე სამშენებლო კანტორის კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ინჟინერი ივანე ჩხაიძე და სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი ოლიფანტე კაჟარავა.

ბევრი დაბრკოლება, ბევრი საყვედური იგემეს მშენებლებმა ამ ხიდის გამო. მოეფიქრებლად, წინდაუხედავად შეუდგნენ ელბაქიძის ძველი, ვიწრო და უკვე დრომოჭმული ხიდის დარღვევას, მის ნაცვლად ამ ახალი ხიდის მშენებლობას, უნაყოფოდ დაკარგეს რამდენიმე თვე და ამიტომ სამართლიანი იყო თბილისელ მშრომელთა საყვედური, მიმართული არა საკუთრივ მშენებლების, არამედ მათი მაშინდელი ხელმძღვანელებისადმი. თუ რას ნიშნავს კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობა, რა ძალაა მასში, ამის მკაფიო მაგალითს ამ ხიდის მშენებლობის უკანასკნელი თვეების ისტორია იძლევა.

ელბაქიძის ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, არსებითად კი ძველი ხიდის ნაცვლად ახალი ხიდის აგება ფაქტიურად მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყო. მშენებლებმა, რომლებსაც ყოველდღიურად ეხმარებიან თბილისის საბჭოს აღმასკომი და საქართველოს კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტი, პირნათლად შეძლეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითების განაღდება, ხიდის უზარმაზარი კორპუსის რამდენიმე თვის განმავლობაში გამართვა, 35.000-ზე მეტი კუბმეტრი მიწის სამუშაოების შესრულება, 18.000-ზე მეტი კუბმეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის ჩასხმა, 1.500-მდე კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ქვის გათლა და დაყენება. მშენებლობის ეხოდენ მაღალი ტემპით წარმართვა და ამ ბოლო თვეებში მოპოვებული წარმოთა წარმატებები ცხადყოფენ, რომ თბილისმშენის ხელმძღვანელებს შესწევთ მშენებელთა მასების კარგად დარაზმვის, სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად შენების უნარი, თუ კი ისინი საბოლოოდ დაადწევენ თავს წინათ ჩვეულ უდარდელობას, მიეჩვევიან წაუბიძგებელ მუშაობას.

ხიდის კორპუსის მშენებლობა, ბეტონისა და რკინაბეტონის ძირითადი სამუშაოები ორიოდე კვირის წინათ დამთავრდა. ახლა მიმდინარეობს ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები, სავალი ნაწილის მოშანდაკება, მოაჯირების დაყენება და ხიდზე მისასვლელების გაკეთება.

გულდასმით და მაღალხარისხოვნად უკეთებენ ხიდს ჰიდროიზოლაციას. სავალი ნაწილის ქვეშ ხიდის კორპუსს ფენებად გადაეფარება ბიტუმი, მის ზემოთ—რუბეროიდი, შემდეგ ფენად—ე. წ. მსუბუქი ბეტონი, ხოლო სულ ზემოდან—ასფალტი. მშენებლებმა იკისრეს ეს სამუშაოები დეკემბრის პირველ დეკადაში მოათავონ, რომ შემდგომ დღეებში არ გაუჭირდეთ ხიდის საბოლოოდ გამზადება და მოძრაობის გახსნა.

ხიდის მოაჯირების დამზადებაში თავი ისახელეს თბილისმშენის პირველი სამშენებლო ქარხნისა და თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივებმა, რომლებმაც შეძლეს თუჯისაგან ჩამოსხმული სამოაჯირე დეტალებზე ორნამენტების ზედმიწევნითი მკაფიობისა და ხაზების უწყვეტობის მიღწევა, ისე როგორც ეს დამახასიათებელია კლასიკური ქართული ორნამენტისათვის, განსაკუთრებით ბეჭა ოპიზარის გენიალური ოქრომჭედლური ნაწარმოებებისათვის, რომელთა მოტივებითაც ისარგებლა არქიტექტორმა.

* * *

კიდევ ცოტაოდენი დრო, და ელბაქიძის ხიდის კორპუსი თავის სრული მორთულობით დაამშვენებს თბილისის ცენტრალურ უბანს. გაიხსნება მოძრაობა ამ ხიდზე, თბილისელები იხილავენ საამურად შეცვლილ ელბაქიძის დაბმართს და მარჯანიშვილის ქუჩას. მადლობის გრძნობა აღეძვრათ გულში მშენებლებისადმი, მათდამი, ვინც მტკვარზე ამ საშვილიშვილო ნაგებობის მაღალხარისხოვნად მშენებლობას არ აკლებდა ყოველდღიურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას.

დ. ლომთაძე.

## მარგანეცისა და ჭიათურის მაღაროელთა შეჯიბრება

**მარგანეცი (დნეპროპეტროვსკის ოლქი).** 6 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ნიკოპოლ-მარგანეცის აუზის მაქსიმოვის სახელობის მოწინავე მაღაროს მაღაროელებმა ჭიათურაში გაგზავნეს დეპეშა, რომლითაც იუწყებიან, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივთან შეჯიბრებაში. მათ ნახევარი თვით ადრე გაანაღდეს მეტალურგებისათვის გაუხვებული მადნის გაგზავნის წლიური გეგმის ვადამდე შესრულების ვალდებულება.

უკრაინელმა მაღაროელებმა გადაჭარბეს გამაუხვებელი ფაბრიკისა და სამი შახტის საპროექტო სიმძლავრეს.

მაქსიმოვის სახელობის მაღაროს კოლექტივი ეშზადება იმისათვის, რომ შეასრულოს 1953 წლის გადიდებული პროგრამა.

## მოსკოველ მშენებელთა თაოსნობა მოიწონეს

4 დეკემბერს კომუნალურ-საბინაო მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწონა მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს მოსკოვის № 28 ტრესტის სტახანოველთა თაოსნობა, რომლებმაც გააჩაღეს შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

მოწინავე მშენებლები ავლინებენ ახალ რეზერვებს. ისინი აჩქარებენ აგურის წყობის, სამშენებლო-სამონტაჟო და მოპირკეთების სამუშაოთა ტემპს. კალატოზებმა, ხუროებმა, მებეტონეებმა, მეექსკავატორეებმა და სხვა წამყვანი პროფესიების მუშებმა იკისრეს ახალი ხუთწლედის დავალება შეასრულონ ვადამდე, 1954 წელს. მექანიზმების უფრო სრულად და უკეთ გამოყენებით ბევრმა კოლექტივმა უკვე გაადიდა შრომის ნაყოფიერება არა 12 პროცენტით, როგორც გათვალისწინებულია გეგმით, არამედ 17 პროცენტით. ყველა ჩაბარებული სამუშაო მხოლოდ საუკეთესო და კარგი ხარისხისაა.

მოსკოველ მშენებელთა თაოსნობას მხარი დაუჭირეს უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა რესპუბლიკების მშენებლობათა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა. (საკდესი).

## საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საბოლოო კონცერტი პრაღაში

**პრაღა,** 6 დეკემბერი. გუშინ „ლუცერნის" დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საბოლოო კონცერტი. კონცერტს დაესწრნენ: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონინ ზაპოტოცკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვილემ შიროკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იარომირ დოლანსკი და მინისტრები კარელ ბაცილეკი, ალექსი ჩეპიჩკა, ვაცლავ კოპეცკი და მთავრობის სხვა წევრები.

საღამოს დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ა. ე. ბოგომოლოვი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წევრები.

ანსამბლის გამოსვლამ უდიდესი წარმატებით ჩაიარა. შესვენების დროს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელები სტალინური პრემიის ლაურეატები ი. ი. სუხიშვილი და ნ. შ. რამიშვილი.

საღამოს დასასრულს სტალინური პრემიის ლაურეატმა კომპოზიტორმა იან კაპრმა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა ანსამბლის კოლექტივს. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ი. ი. სუხიშვილმა. თავისი სიტყვის დასასრულს მან გამარჯვება უსურვა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას და რესპუბლიკის პრეზიდენტს კლემენტ გოტვალდს.

კონცერტის დამსწრეებმა მქუხარე ოვაცია მოუწყეს საბჭოთა კავშირის წარგზავნილებს და დიდხანს იმეორებდნენ სიტყვებს: „სტალინი-გოტვალდი-მშვიდობა!", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!", „გაუმარჯოს ამხანაგ გოტვალდს!". (საკდესი).

### გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქი

## აკაკი ივანეს-ძე მგელაძე

### რეგისტრირებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

5 დეკემბერს დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კლუბში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. სხდომას დაესწრნენ ოლქის ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. კირვალიძემ.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ცნობას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი აკაკი ივანეს-ძე მგელაძე დათანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში.

ამხანაგ ა. ი. მგელაძის კანდიდატურა ერთსულოვნად დაასახელეს დმანისის რაიონის მშრომელთა—სოფელ გომარეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრების, გომარეთის მტს-ის კოლექტივის, სოფელ განახლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრების, სოფელ ყარაბულაღის მოლოტოვის სახელობის არტელის წევრების ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე.

კომისიის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა იმ საერთო კრებების ოქმები, რომლებმაც ამხანაგი ა. ი. მგელაძე დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, და დადგენილება საოლქო საარჩევნო თათბირისა, რომელმაც მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხანაგ ა. ი. მგელაძის კანდიდატურას. ყველა დოკუმენტი შედგენილია „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" სრული შესაბამისობით.

სხდომაზე გამოსულმა სოფელ გომარეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. დევნოზაშვილმა ილაპარაკა მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებაზე ლენინ—სტალინის დიადი პარტიისადმი, იმ სასახელო შრომითს საქმეებზე, რომლებთაც კოლმეურნე გლეხობა უპასუხებს პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ყოველი საბჭოთა ადამიანის მისწრაფებაზე — თავისი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობაში.

მან ილაპარაკა იმაზე, რომ ამხანაგ ა. ი. მგელაძის თანხმობას—კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში, ამომრჩევლები შეხვდნენ უდიდესი სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობით, ამხ. დევნოზაშვილს შეაქვს წინადადება რეგისტრირებულ იქნას ამხანაგ ა. ი. მგელაძის კანდიდატურა.

სხდომაზე გამოსულმა გომარეთის მტს-ის მთავარმა აგრონომმა ა. მარქაროვამ, სოფელ განახლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ვასილიევმა, სოფელ ყარაბულაღის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტაგი ტაგიზადემ, კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნ. პარფიონოვამ და სხვებმა აგრეთვე გამოთქვეს ღრმა სიხარული იმის გამო, რომ ამხანაგი ა. ი. მგელაძე დათანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში. ისინი ლაპარაკობდნენ, რომ ამომრჩევლებმა კარგად იციან, თუ რა დიდ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ეწევა ამხანაგი ა. ი. მგელაძე, რომელიც მთელ თავის ენერგიასა და ძალას ახმარს ლენინ — სტალინის პარტიის საქმეს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

მათ სთხოვეს კომისიას, რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგ ა. ი. მგელაძის კანდიდატურა.

ამ წინადადებას მხურვალე ტაშით ხვდებიან.

კვლავ გრიალებს ტაში, როცა კომისია ერთსულოვნად იღებს დადგენილებას რეგისტრირებულ იქნას აკაკი ივანეს-ძე მგელაძის კანდიდატურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე და შეტანილ იქნას იგი საარჩევნო ბიულეტენში დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

## დადგენილება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა

**განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული ოქმები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში აკაკი ივანეს-ძე მგელაძის დასახელების შესახებ და მისი განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში დამსახელებელი ორგანიზაციებისაგან, საოლქო საარჩევნო კომისიამ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოარკვია, რომ აკაკი ივანეს-ძე მგელაძე დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 49, 50, 51, 52, 53 და 54 მუხლების სრული შესაბამისობით.**

**„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 55-ე მუხლის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა:**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად რეგისტრირებულ იქნას აკაკი ივანეს-ძე მგელაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დაბადებული 1910 წელს, დასახელებული დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრების, გომარეთის მტს-ის კოლექტივის, სოფელ განახლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრების, სოფელ ყარაბულაღის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრების საერთო კრებების მიერ.**

**„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 58-ე მუხლის საფუძველზე დეპუტატობის კანდიდატი აკაკი ივანეს-ძე მგელაძე შეტანილ იქნას საარჩევნო ბიულეტენში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.**

**„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 57-ე მუხლის შესაბამისად ეს დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.**

**საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გ. ვ. კირვალიძე**
**საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე**
**ბ. ს. ქრისტესიაშვილი**

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**
**ვ. ა. მოხოვა**
**ს. პ. გურჯიევა**
**ა. დ. ზახაროვი**
**ვ. ა. ჭანიძე**
**ფ. ი. ბაინდურაშვილი**
**კახრამან ალი ოღლი**

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ლ. ა. კარტოზია. (საქდესი).

## გორის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 15.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა 3 დეკემბრისათვის 100,7 პროცენტით შეასრულეს შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა.

კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 15.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

პარტიული ცხოვრება

# გავაუმჯობესოთ მუშაობა პროპაგანდისტთა კადრებთან

პარტიული პროპაგანდის შინაარსიანად მოწყობა, მისი იდეური დონის შემდგომი ამაღლებისათვის სისტემატური ზრუნვა პარტიული ორგანიზაციების პირველხარისხოვანი ამოცანაა. პარტიული ორგანიზაციების მიერ ამ მოვალეობის წარმატებით შესრულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროპაგანდისტთა კადრებზე.

განსაკუთრებით გაზრდილია პროპაგანდისტთა ამოცანები პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. აქედან გასაგებია, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტთა შერჩევის, განაწილების, მათდამი ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაჩადებული მუშაობის შედეგად პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება და პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლში პოლიტიკური სწავლების ხარისხის ამაღლება დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დგას.

მიმდინარე წლის ოქტომბერში თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობის მიმდინარეობის საკითხი.

პლენუმმა აღნიშნა, რომ პარტიული განათლების სისტემაში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა მნიშვნელოვანი ნაწილი აიხსნება ზოგიერთი პროპაგანდისტის სუსტი მუშაობით, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით. ამიტომ პლენუმმა რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.

პროპაგანდისტთა კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნების მიზნით პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას დაავალა ახლადდამწყებ პროპაგანდისტთა სამდღიანი სემინარის ჩატარება.

ამ დადგენილების განსახორციელებლად მიმდინარე წლის 28, 29 და 30 ნოემბერს „ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო ქ. თბილისში მომუშავე ახლადდამწყებ პროპაგანდისტთა სემინარი.

სემინარზე მოსმენილ იქნა ლექციები შემდეგ თემებზე: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და პროპაგანდისტთა ამოცანები, ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და სხვ.

სემინარის მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმო წრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკას. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საუბარი მეთოდიკის საკითხებზე: „პროპაგანდისტი პარტიული განათლების ცენტრალური ფიგურაა“, „როგორ მოვემზადოთ მეცადინეობისათვის“ და სხვ.

სემინარმა გვიჩვენა, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ნაკლებად ეხმარება პროპაგანდისტებს, კონტროლს არ უწევს მათს მუშაობას, რის გამო მთელ რიგ წრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობა იმართება დაბალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე. პარტიული ორგანიზაციები ასევე სუსტად იბრძვიან პარტიული განათლების სისტემაში შეძენილი დადებითი გამოცდილების შესასწავლად და გასავრცელებლად, არ ზრუნავენ პროპაგანდისტთა კადრების მეთოდური დახელოვნებისათვის.

სემინარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების საქმეში პროპაგანდისტებს ჯერ კიდევ ნაკლებ დახმარებას უწევენ რესპუბლიკური და საოლქო გაზეთები, მცირე რაოდენობით ბეჭდავენ სტატიებს პროპაგანდისტთა მუშაობის გამოცდილების შესახებ.

სემინარის მუშაობამ პროპაგანდისტთა დიდი დაინტერესება გამოიწვია და ცხადყო, რომ პროპაგანდისტთა კარგად ორგანიზებულ სემინარს, მის მაღალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე მოწყობას შეუძლია მნიშვნელოვნად აამაღლოს წრეებსა და პოლიტსკოლებში სწავლების ხარისხი.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა. **სურათზე:** ოთხდაზგოსანი სტახანოველი მკსოველი, ნოვატორი ეკატერინე მეხრაძე, რომელიც ძვირფასი ქსოვილების გამოშვებაზე მუშაობს, გამომუშავების დღიურ ნორმებს სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მის მიერ გამოშვებული პროდუქციის 80-90 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## საქართველოს მარმარილო

საქართველოს მარმარილო განთქმულია მთელ ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა კავშირის ქალაქებში მრავალი საუცხოო ნაგებობა დამშვენებულია ამ მარმარილოთი. საქართველოს მარმარილოთი მოპირკეთებულია მოსკოვის მეტროს ბევრი სადგური, დიდი სტალინის სახელ-ეუზეუმი გორში, მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი კორპუსები, სოჭის, წყალტუბოს ახლად აშენებული სანატორიუმების შენობები და სხვ.

თბილისის მარმარილოს ქარხანა ამზადებს მარმარილოს ფხვნილს და ფიცრებს, რაზეც მშენებლობებზე დიდი მოთხოვნილებაა. საბჭოთა კავშირის ქალაქებში თვეში იგზავნება 110 ვაგონი მარმარილოს ფხვნილი და 20 ათასი ცალი მარმარილოს ფიცარი. მომავალ წელს ყოველ თვეში ქარხანა დაამზადებს 24 ათას ცალ ასეთ ფიცარს.

მოპირკეთების საწარმოო კანტორა 1953 წელს საქართველოში შეასრულებს მარმარილოთი მოპირკეთების ყველა სამუშაოს, პირველ რიგში იმუშავებს ქუთაისის თეატრის მოსაპირკეთებლად.

მიმდინარე ხუთწლედში დაიწყება მარმარილოს ახალი კარიერების ექსპლოატაცია მოლითში (ყავისფერი მარმარილო), გელათში (მოყვითალო თეთრი), მელაურში (მოყვითალო თეთრი), ქვემო სვანეთში (ნაცრისფერი) და ქლუხორში (თეთრი, შავი, ვარდისფერი).

## ახალი წყალსადენი

**დუშეთი.** (საკ. კორ.). დუშეთში დაიწყო ახალი წყალსადენის მშენებლობა, რომლის სიგრძე დაახლოებით 20 კილომეტრი იქნება. სათავე დაიწყება სამების მთებში, ტრასა გაივლის მთაგორიან ადგილებს და მრავალ ხევს.

მშენებლობაზე 1.800 ათასი მანეთი დაიხარჯება. ახალი წყალსადენი, რომლის გაყვანაში აქტიურად მონაწილეობს ქალაქის მოსახლეობა, მომავალ წელს დამთავრდება.

# მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ფართოდ გაიაზრეს მუშაობა პარტიის XIX ყრილობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

სერიოზული ღონისძიებანი ხორციელდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის. წელს საბჭოთა მეურნეობების უმეტესმა ნაწილმა თვალსაჩინოდ გაზარდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა, შეინარჩუნა ნამატი, აამაღლა მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს მეცხოველეობის სულადობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ათ თვეში შესრულებული ჰქონდა: მეცხვარეობაში — 103,4 პროცენტით, მეღორეობაში — 127, მეცხენეობაში — 103,4. ჩამორჩენა იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის განვითარების დარგში — გეგმა შესრულდა 96,7 პროცენტით და მეფრინველეობაში — 85,8 პროცენტით.

მოწინავეა ყულარის მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი პ. ბერუჩაშვილი), რომელმაც ვადაზე ორი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმები, სახელდობრ, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდისა — 112,6 პროცენტით, ღორისა — 125, ცხვრისა — 102,4, ჯიშიანი ცხენისა — 102,4, ფრინველისა — 152,4 პროცენტით. ნეურნეობამ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცის, კვერცხის, რძის, მატყლის ჩაბარების წლიური გეგმები. ამასთან გეგმის გარეშე ჩაბარა 34 ტონა ხორბალი. აქ თვითეულ საფურაქე ძროხაზე წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.600 კილოგრამის ნაცვლად ათ თვეში 1.670 კილოგრამი რძე მიიღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლომდე წველადობა აყვანილ იქნება სულ მცირე 1.800 კილოგრამამდე.

მოწინავეთა რიგებშია აგრეთვე გაგრის მერძეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი შ. ჯმუხაძე), რომელმაც წარმატებით შეასრულა წლიური დავალება — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა ათ თვეში შესრულებულია 100 პროცენტით, ღორისა — 102,8, ცხენისა — 120 პროცენტით. მეურნეობა დიდ ყურადღებას აქცევს პროდუქტიულობის გადიდებას. ხორცის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა ათ თვეში განაღდებულია 160 პროცენტით, რძისა — 103 პროცენტით. მეურნეობის მუშაკები პირობას იძლევიან წლის ბოლომდე სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით სულ მცირე 60 ტონა რძე ჩაბარონ.

მეცხოველეობის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის პროდუქტების ჩაბარებაში კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე გარდაბნის, ბაშკიჩეთის და მუხროვანის საბჭოთა მეურნეობებს.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა წელს საქართველოს ცხოველდამზადების კანტორას კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად გადასცეს 200 ჯიშიანი ცხენი, 300 ღორი და 50 ბუღამწარმოებელი.

საბჭოთა მეურნეობებმა ამ წარმატებებს მიაღწიეს პირუტყვის მოვლა-პატრონობის, განსაკუთრებით კვების გაუმჯობესებით, ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებით, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით.

ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად ზოოტექნიკოსმა ივანე ბაძოშვილმა ადგილობრივი თუშური უხეშმატყლიანი ცხვრის ნახმატყლიან ყოჩებთან შეჯვარებით და მათი თანდათანობითი შერჩევით მიიღო ნახმატყლიანი და დუშიანი ცხვარი, რომელიც წელს 10.000 სულის რაოდენობით შემოწმებული და აპრობირებულია საკავშირო კომისიის მიერ.

ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები (დირექტორი ზოოტექნიკოსი ლ. ნაროუშვილი) დიდი მონდომებით შრომობენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიშის გამოყვანაზე. ამ მხრივ პირველი წარმატებები უკვე მოპოვებულია.

საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ცხენსაშენებში გაზრდილი ჯიშიანი ცხენების სისწრაფემ, გამძლეობამ და სხვა მაჩვენებლებმა საკავშირო იპოდრომზე სერიოზული ყურადღება მიიპყრო. წელს მუხროვანის მეურნეობის წმინდასისხლიანმა ცხენებმა ბაქოს იპოდრომზე მთავარი ჯილდოები მოიპოვეს, ხოლო ყულარის ცხენსაშენის ცხენებმა პიატიგორსკის იპოდრომზე — პირველი ადგილი. ეს მეურნეობები როგორც საქართველოს კოლმეურნეობებს, ისე მოძმე რესპუბლიკებს ყოველწლიურად აძლევენ ათობით და ასობით ჯიშიან სანაშენო ცხენს.

ელდარის საბჭოთა მეურნეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს მეცხოველეობისა და მემინდვრეობის განვითარების მხრივ. ამ მეურნეობამ წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარა 1.800 ტონა ხორბალი. მაგრამ მეცხვარეობის განვითარებაში აქ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ხშირია პირუტყვის სიკვდილიანობა. ამის მიზეზია საკვები ბაზის მოუწესრიგებლობა და წყალის სიმცირე. პირუტყვს წყალის დასალევად ყოველდღიურად 5-დან 20 კილომეტრამდე მანძილის გავლა უხდება, რაც დიდ გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, მეურნეობას აკლია კვალიფიციური მწყემსები. კადრების მომზადებასა და აღზრდას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

მეცხოველეობის [illegible] ბებში სხვა [illegible] ნადო ყურადღება არ ექცევა ნამატის მიღება-შენარჩუნებას, გეგმით წელს ყოველ 100 დედაპირუტყვზე შენარჩუნებული უნდა იყოს სულ მცირე 85 ხბო, 90 ბატკანი, 70 კვიცი. მაგრამ ეს დავალება არ სრულდება. ბაშკიჩეთის მეურნეობა წლითიწლობით ჩამორჩება ხბოების გაზრდაში. წელს აქ 1 ნოემბრისათვის გათვალისწინებული 280 ხბოს ნაცვლად მიღებული ჰყავდათ მხოლოდ 180. ასეთივე მდგომარეობაა ელდარის მეურნეობაში — ყოველ 100 დედაცხვარზე 90 ბატკნის ნაცვლად შენარჩუნებულია 75. ჩამორჩა ზოგიერთი სხვა მეურნეობაც. ეს მდგომარეობა იმის შედეგია, რომ სუსტია ზოოვეტმომსახურება, ხშირია პირუტყვის ბერწიანობა, მოუგვარებელია კვება და მოვლა.

ამ ჩამორჩენის გაგრძელება შეუწყნარებელია. საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვკიდოთ ხელი პირუტყვის ნორმალური კვებისა და მოვლის უზრუნველყოფის საქმეს. პირუტყვის საიმედოდ გამოზამთრება გადაუდებელი ამოცანაა. კვების რაციონის ზუსტად დაცვისა და ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა ურყევად განხორციელების გარეშე მეცხოველეობას ვერ განვავითარებთ. მკვეთრად უნდა გავადიდოთ კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვების დამზადება, უკეთ ვიმუშაოთ საძოვრების კეთილმოწყობისა და მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებზე. ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეუძლია მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ხელმძღვანელობა ყველგან და ყოველთვის იყოს კონკრეტული, მაღალკვალიფიციური. მართალია, საბჭოთა მეურნეობებში ყოველწლიურად უმჯობესდება და კეთილმოწყობილი ხდება პირუტყვის სადგომები, ბევრგან აშენდა და დამატებით შენდება ახალი ბინები, ჩატარდა რემონტი და სხვა, მაგრამ ეს როდი კმარა, საჭიროა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობა მუშაობდეს უნაკლოდ, განუწყვეტლივ ადიდებდეს მეცხოველეობის სულადობას და პროდუქტიულობას, იყოს რენტაბელური და მაღალშემოსავლიანი.

საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაკმა და სპეციალისტებმა ყველაფერი უნდა გაიკეთონ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყველა დავალება.

**ვ. შამათავა,**
**საქართველოს სსრ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მთავარი ზოოტექნიკოსი.**

## XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დიდი სტალინის გენიალური ნაშრომის ღრმად შესწავლისათვის

**წყალტუბო.** („კომუნისტის“ კორ.). პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ფართო პოპულარიზაციისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწეკა საქართველოს კ. პ. წყალტუბოს რაიკომთან არსებული ლექტორთა ჯგუფი. ამ დღეებში ჯგუფის წევრებმა რაიონის საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში წაიკითხეს მოხსენებები XIX ყრილობის შედეგებზე. მომზადებულია ლექციების ციკლი ამხანაგ ი. ბ. სტალინის კლასიკური ნაშრომის შესახებ.

ლექტორთა ჯგუფის წევრები პირველი დეკემბრიდან საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში კითხულობენ ლექციებს თემებზე: „პარტიის XIX ყრილობა და კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები ჩვენს ქვეყანაში“, „ამხანაგი სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პირობებისა და გზების შესახებ“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“, „სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ახალი დიდი ნაბიჯია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზაზე“ და სხვ.

# თანმიმდევრულად განვახორციელოთ შინაპარტიული დემოკრატია

„პრავდის“ 7/XII მოწინავე

**პარტიის ხელმძღვანელთა შემოწმება და კონტროლი პარტიული მასების მხრივ“.**

შინაპარტიული დემოკრატიისა და თვითკრიტიკის გასაჩაღებლად პარტიის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა, როგორც თქვა ამხ. გ. მ. მალენკოვმა პარტიის XIX ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში, ხელი შეუწყო პარტიულ ორგანიზაციებს მნიშვნელოვნად დაეძლიათ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებანი, სერიოზული როლი შეასრულა ამ მუშაობის აღმავლობის საქმეში. შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე განუწყვეტლივ იზრდება პარტიული მასების აქტივობა და თვითმოქმედება, ძლიერდება პარტიის წევრთა პასუხისმგებლობა პარტიის საქმისათვის.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში არჩევითობა, რაც დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის ძირითადი მოთხოვნაა, ხშირად ირღვევა, მას კოოპტაციით ცვლიან. ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობაზე, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის შემოდგომაზე, მოიყვანეს ფაქტები, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების არჩევითობას ცვლიან მუშაკთა კოოპტაციით. ცალკეულ შემთხვევებში პარტიული ან საბჭოთა ორგანოს შემადგენლობაში მუშაკთა კოოპტაცია მაშინაც კი ხდებოდა, როცა საჭირო კვორუმი არ იყო.

პარტიული ორგანოების შემადგენლობაში კოოპტაციის პრაქტიკა ამ უკანასკნელ დრომდე გავრცელებული იყო მინსკის პარტიულ ორგანიზაციაში. პარტიის სოლოქო კომიტეტი ურიგდებოდა ერთი რაიონიდან მეორეში პარტიულ მუშაკთა ხშირ გადაყვანას, რაც, უნდა ითქვას, აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. მაგალითად, მოკლე დროის მანძილზე ბორისოვის საქალაქო კომიტეტში კოოპტირებულ იქნა ორი მდივანი.

შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის, კოოპტაციით არჩევითობის შეცვლის შემთხვევები სხვა ორგანიზაციებშიც არის. ავიღოთ, მაგალითად, დაღისტანი. წელს რესპუბლიკაში რაიკომების მდივანთა მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტი შეიცვალა. მათ ნაცვლად ბევრი რაიკომის მდივანი კოოპტირებულ იქნა. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში კოოპტაციის მანკიერი პრაქტიკა ახლაც გრძელდება. უნცუკულის რაიონში რაიკომის მეორე მდივნის პოსტი უკავია ამხ. მაჰომედოვს, რომელიც მანამდე პარტიის სოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად მუშაობდა და რაიკომის წევრი არ არის. პარტიის ნოვო-ლაკსკოეს რაიკომის პირველ მდივნად აგრეთვე მუშაობს ამხანაგი, რომელიც რაიკომის წევრი არ არის. რესპუბლიკაში ხელმძღვანელ მუშაკთა კოოპტაციის პრაქტიკას თვით პარტიის სოლქო კომიტეტი ნერგავს.

ასეთი ფაქტები შეუთავსებელია ჩვენი პარტიის სულისკვეთებასა და ტრადიციებთან. პარტია თავის მუშაობაში თანმიმდევრულ დემოკრატიას ახორციელებს. ჩვენი პარტიის მარტო არალეგალური არსებობის პერიოდში, როცა პარტიული ორგანიზაციები იძულებული იყვნენ სასტიკი კონსპირაციული ხასიათი ჰქონოდათ, პარტიული კომიტეტები იქმნებოდა ზევიდან დანიშვნის ან კოოპტაციის გზით. მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტია სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, მის შინაგან ცხოვრებაში ფართო დემოკრატიული პრაქტიკა ხორციელდებოდა.

ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო პარტიული ორგანოების არჩევნების წესი, რომელიც დაადგინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმმა 1937 წელს; განიხილავდა რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული ორგანიზაციების მზადების საკითხს, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაშინ აღნიშნა, რომ საჭირო იყო აღმოფხვრა დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძვლების დარღვევებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ცალკეულ პარტორგანიზაციებში. პლენუმმა დაადგინა: „აღმოიფხვრას პარტკომიტეტების წევრებად კოოპტაციის პრაქტიკა და აღდგენილ იქნას, პარტიის წესდების შესაბამისად, პარტორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევითობა“.

პარტიული ორგანოები, რომლებიც გვერდს უვლიან შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის ფაქტებს, არჩევითობის კოოპტაციით შეცვლის ფაქტებს, უხეშ შეცდომას სჩადიან, ვერ ხედავენ, რა ზიანს აყენებენ ისინი პარტიული მუშაობის აღმავლობის საქმეს.

რა ზიანი მოაქვს კოოპტაციას? კოოპტაცია, არღვევს რა არჩევითობის პრინციპს, პარტიის წევრებს ართმევს პარტიის წესდებით მინიჭებულ კანონიერ უფლებებს. ასეთ პირობებში პარტიის წევრებს არ შეუძლიათ თავისუფლად გამოთქვან აზრი კანდიდატურების შესახებ, ისარგებლონ მიუღებელ კანდიდატურათა გაკრიტიკებისა და აცილების უფლებით. ეს აფერხებს პარტიის წევრთა აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდას, ხელს უშლის მათს იდეურ და პოლიტიკურ ზრდას.

ამა თუ იმ ხელმძღვანელ ორგანოში მუშაკთა კოოპტაცია მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი მუშაკი ცდილობს გაემიჯნოს პარტიულ მასებს, თავი დააღწიოს კრიტიკას, კოოპტაცია არასწორად ზრდის მუშაკებს, არსებითად კრიტიკის გარეშე, პარტიული მასების კონტროლის გარეშე აყენებს მათ, ამცირებს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას თავიანთი პარტიული ორგანიზაციების წინაშე. სწორედ ასეთ ვითარებაში ჩნდებიან მუშაკები, რომლებიც პარტიული მასებისაგან დამოუკიდებლად გრძნობენ თავს და მოქმედებენ უფრო როგორც ადმინისტრატორები და არა როგორც ხელმძღვანელები, რომლებსაც კომუნისტები ირჩევენ და რომლებიც ანგარიშს აბარებენ მათ. ამის შედეგად ირღვევა სწორი ურთიერთობა ხელმძღვანელებსა და პარტიულ მასებს შორის. ირღვევა შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპები.

ბოლოს, ხელმძღვანელ ორგანოებში კოოპტაციის პრაქტიკა ჩვეულებრივად დაკავშირებულია ერთი და იმავე მუშაკების გადანაცვლებასთან, ერთი რაიონიდან მეორეში მათ გადაყვანასთან. ამასთან ხშირად გადაჰყავთ მუშაკები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს წინანდელ სამუშაოზე ან კიდეც ჩაფუშეს დაკისრებული საქმე. ასე იქცევიან ინის ნაცვლად, რომ ადგილზევე დაწინაურონ პოლიტიკურად და საქმიანი თვალსაზრისით გაზრდილი ადამიანები.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ არჩევითობის კოოპტაციით შეცვლის პრაქტიკა შეუწყნარებელი და საზიანოა. იგი არღვევს შინაპარტიული ცხოვრების კანონებს, ეწინააღმდეგება შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს და, საბოლოო ანგარიშით, კი არ ამაგრებს, არამედ ასუსტებს პარტიულ ორგანიზაციებს.

პარტიის XIX ყრილობამ ამოცანად დასახა — თანმიმდევრულად განხორციელდეს შინაპარტიული დემოკრატია, ფართოდ გაიშალოს თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, გაძლიერდეს კომუნისტთა პოლიტიკური აქტივობა. პარტიულმა ორგანოებმა უნდა გაადიდონ მუშაკთა პასუხისმგებლობა პარტიული მასების წინაშე, არ დაუშვან კოოპტაციის პრაქტიკა, უზრუნველყონ იმის შესაძლებლობა, რომ პარტიული მასები კონტროლს უწევდნენ თავიანთ ხელმძღვანელებს.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევითობა არის კანონი, რომელიც სავალდებულოა ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის. ამ კანონის დაცვა უზრუნველყოფს პარტიული მასების კონტროლს ხელმძღვანელთა საქმიანობისადმი, ყველა კომუნისტის ჩაბმას აქტიურ პარტიულ ცხოვრებაში.

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა განახორციელონ თავიანთ მუშაობაში თანმიმდევრული დემოკრატიული პრაქტიკა, როგორც ამას მოითხოვს პარტიის წესდება, არ შეცვალონ არჩევითობა კოოპტაციით, ისე წაიყვანონ საქმე, რომ პარტიული მასების თვითმოქმედება განუხრელად იზრდებოდეს, რომ ყოველმხრივ ვითარდებოდეს თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, რომ სრული იყოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა პარტიული მასების წინაშე. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ შემდგომ განმტკიცდება და გაძლიერდება პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

## კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლები

**სტალინირი.** (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის კოლმეურნე ახალგაზრდობას ცოდნის დაუფლებაში დახმარებას უწევენ სოფლის ახალგაზრდობის სკოლები. ამჟამად სამხრეთ ოსეთში 17 ასეთი სკოლაა, რომლებშიც გაერთიანებულია ასობით ახალგაზრდა კოლმეურნე და მექანიზატორი.

კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლებს მომსახურებას უწევს 92 პედაგოგი. ახალგაზრდობის სკოლებში წლითიწლობით მატულობს მსმენელთა რიცხვი, უმჯობესდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

ბევრი ახალგაზრდა, რომელიც საღამოს სკოლას ამთავრებს, სწავლას აგრძელებს სასოფლო-სამეურნეო სპეციალურ სასწავლებლებში და მოწინავე მიჩურინული მეცნიერებით შეიარაღებული უბრუნდება მშობლიურ სოფელს.

## სასოფლო საბჭოს ახალი შენობა

**ბორჯომი.** (საკ. კორ.). სოფელ ციხისჯვარში სასოფლო საბჭოსათვის აგებენ ახალ შენობას, რომლის დამთავრება ნავარაუდევია მიმდინარე წლის დეკემბრის შუა რიცხვებში.

სასოფლო საბჭოს გარდა ახალ შენობაში მოთავსებული იქნება ქოხ-სამკითხველო და ფოსტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

## კორეის საკითხზე პირველ კომიტეტში 1952 წლის 1 დეკემბერს

ბ-ნ მენონის უკანასკნელ სიტყვასთან დაკავშირებით უნდა ვთქვა, რომ ინდოეთის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის გამო მისი განმარტება და მისი განცხადება საბჭოთა კავშირის შესწორებათა შესახებ ერთხელ კიდევ გვიჩვენებენ, რომ ინდოეთის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის ჩვენი კრიტიკა სავსებით დასაბუთებული, სწორი და სამართლიანი იყო. ბ-ნმა მენონმა სცადა დაემტკიცებინა, რომ ინდოეთის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი თითქოს მშვიდობის გზას სახავს. განა ბ-ნი მენონი და ინდოეთის მთელი დელეგაცია ან ვინმე აქ დამსწრეთაგანი უარყოფს, რომ თუ მშვიდობის გზას ვსახავთ, საქმე საომარი მოქმედების შეწყვეტით უნდა დავიწყოთ? მართლაც ხომ არ შეიძლება იძახდე, მშვიდობის გზას ვსახავთო, და ამავე დროს მხარს არ უჭერდე საბჭოთა დელეგაციის რეზოლუციის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს რჩევა მიეცეს მეომარ მხარეებს დაუყოვნებლივ და სავსებით შეწყვიტონ ცეცხლი კორეაში ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში. არ შეიძლება დაისახოს მშვიდობის გზა, თუ ცეცხლი არ შეწყდა.

ბ-ნმა მენონმა დაიმოწმა დაზავების შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელიც უკვე შეთანხმებულია პანმინჯონში. იმის მიხედვით, რაც მენონმა თქვა, მისი გაგება შეიძლებოდა ისე, რომ პირველი ნაბიჯი მშვიდობისაკენ იმით გადაიდგმება, რომ დაიდება დაზავების შესახებ შეთანხმება, რომელიც გაითვალისწინებს ცეცხლის შეწყვეტას. ამ შემთხვევაში გეკითხებით: როდის იქნება ეს? ხვალ, ერთი კვირის შემდეგ, ერთი თვის, ერთი წლის თუ ხუთი წლის შემდეგ? როგორც ყველა მონაცემი მოწმობს, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმედი ვიქონიოთ, რომ დაზავების შესახებ შეთანხმება ცოტად თუ ბევრად ახლო ხანში დაიდება, რადგან ასეთი შეთანხმების დადება ხელსაყრელი არ არის ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისათვის, რომელნიც ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ ეს შეთანხმება. ბ-ნ მენონის მსჯელობის ლოგიკა მით უფრო გაუგებარია, რომ კარგად არის ცნობილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია ინდოეთის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის შესახებ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ჯოუ ენ ლაის განცხადებაში და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ პაკ ხენ ენის განცხადებაში სავსებით ზუსტად და ნათლად არის განსაზღვრული ამ ქვეყნების პოზიცია კორეაში მშვიდობის მიღწევის გზების საკითხში. ბ-ნ ჯოუ ენ ლაის განცხადებაში ნათქვამია: „იმისათვის, რომ განვახორციელოთ მთელი მსოფლიოს ხალხთა მხურვალე მისწრაფება მშვიდობისადმი, ცხადეყოთ, რომ ჩინელი ხალხი გულწრფელად ესწრაფვის კორეაში მშვიდობის რაც შეიძლება მალე აღდგენას, და შემდეგში არ დავუშვათ, რომ ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი გამოიყენონ, როგორც საბაბი და დაბრკოლება კორეაში დაზავების განხორციელების გზაზე, ჩვენ ამით სავსებით ვიწონებთ საბჭოთა კავშირის დელეგაციის ყოვლისმომცველ წინადადებას იმის შესახებ, რომ ჯერ მიღწეულ იქნას დაზავება კორეაში, ხოლო შემდეგ გადაწყდეს ყველა სამხედრო ტყვის რეპატრიაციის საკითხი“. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებას „შეუძლია გახსნას კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზა“.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავის განცხადებაში აგრეთვე აღნიშნავს, რომ, მისი აზრით, სსრ კავშირის წინადადება „ყველაზე სამართლიანი წინადადებაა, რომლის მიზანია რაც შეიძლება მალე დამთავრდეს საომარი მოქმედება კორეაში და მშვიდობიანად გადაიჭრას კორეის საკითხი“ და რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა „სავსებით უჭერს მხარს სსრ კავშირის დელეგაციის ამ წინადადებას“.

ნათქვამიდან ცხადია, რომ წინადადებანი, რომლებსაც შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტი, რასაც მხარი დაუჭირა ზოგიერთმა დელეგაციამ, აგრეთვე რომლებსაც შეიცავს პერუს, მექსიკის ან ინდოეთის პროექტები, არ შეიძლება მივიღოთ დაზავებისა და სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის შესახებ შეთანხმების მიღწევის საფუძვლად. ყველა ეს რეზოლუცია ამერიკის ერთი და იმავე პროექტის მოდიფიკაციებია.

ბ-ნ მენონის სიტყვით გამოდის, რომ საბჭოთა დელეგაცია თითქოს წინადადებას იძლევა ცეცხლი შეწყდეს მას შემდეგ, რაც დაიდება შეთანხმება დაზავებაზე. მაგრამ ეს ხომ სიტყვების თამაშია, თუ მეტი არა. ჩვენს წინადადებაში ნათქვამია: „რჩევა მიეცეს კორეაში მეომარ მხარეებს დაუყოვნებლივ და სავსებით შეწყვიტონ ცეცხლი, ესე იგი მხარეთა საომარი მოქმედება ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში დაზავების შესახებ იმ პროექტის საფუძველზე, რომელიც უკვე შეთანხმებულია მეომარ მხარეთა შორის“... და სხვ. აქედან ჩანს, რომ ჩვენ მოვითხოვთ **დაუყოვნებლივ** შეწყდეს ცეცხლი და არა რომელიღაც იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც **ოდესმე იქნება მიღწეული**, არამედ უკვე მიღწეული შეთანხმების **პროექტის** საფუძველზე.

აქედან ჩანს, რომ ჩვენს გზასა და იმ გზას შორის, რომელიც ინდოეთის რეზოლუციის პროექტშია გათვალისწინებული, საერთო არა არის რა.

როგორც ცნობილია, დაზავების შესახებ შეთანხმების პროექტში არის სპეციალური მუხლი: „ცეცხლის შეწყვეტისა და დაზავების კონკრეტული პირობები“. ამ მუხლის მე-12 პუნქტში ნათქვამია, თუ რა წესით უნდა მოხდეს ცეცხლის შეწყვეტა. მე-12 პუნქტში ნათქვამია: „ორივე მხარის სარდლებმა გასცენ ბრძანება, რომ მათს სარდლობაში მყოფმა მთელმა შეიარაღებულმა ძალებმა, მათ შორის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების ყველა ნაწილმა და პირადმა შემადგენლობამ სავსებით შეწყვიტონ კორეაში ყოველგვარი საომარი მოქმედება“.

მაშასადამე, ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი დაზავებაზე შეთანხმების პროექტის მე-12 მუხლის საფუძველზე. ბ-ნი მენონი ამბობს, რომ ინდოეთის პროექტიც ასასვე მოითხოვს. არა, თქვენ ამასვე არ მოითხოვთ და უფრო მეტიც, თქვენ საერთოდ ცეცხლის შეწყვეტას არ მოითხოვთ. თქვენი რეზოლუციის პროექტის პრეამბულის მეორე პარაგრაფში მოითხოვთ მხოლოდ, რომ მოწონებით აღინიშნოს მნიშვნელოვანი წარმატება დაზავების მიმართულებით, წარმატება, მიღწეული პანმინჯონში მოლაპარაკებისა და წინასწარ შეთანხმებათა გზით, რომლების მიზანია ბოლო მოეღოს კორეაში საომარ მოქმედებას და გადაიჭრას კორეის საკითხი.

ამრიგად, თქვენს რეზოლუციის პროექტში საომარი მოქმედების არავითარ შეწყვეტას არ მოითხოვთ და სჯერდებით იმას, რომ იმოწმებთ პანმინჯონის მოლაპარაკებას.

და რა სიტყვებიც უნდა წარმოთქვათ აქ, იმაში ვერ დაგვარწმუნებთ, რაც სინამდვილეში არ არის. თქვენ თავს უწოდებთ აზიის ყველა ხალხის წარმომადგენლებს. მაგრამ აზიის ხალხებისა და უწინარეს ყოვლისა ჩინელი და კორეელი ხალხების სასარგებლოდ არ მოითხოვთ, რომ ბოლო მოეღოს ომს კორეაში, რაკი არ იღებთ ჩვენს წინადადებას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ეხებით რა ჩვენს წინადადებას ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, აცხადებთ, რომ მთლად გარკვეული არ არის თქვენთვის ამ წინადადების სრული აზრი. მაგრამ როგორ შეიძლება, რომ გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე მთლად ვერ ერკვეოდეს იმაში, თუ რას ნიშნავს რამდენიმე სავსებით მარტივი და ნათელი სიტყვით ჩამოყალიბებული წინადადება: „რჩევა მიეცეს კორეაში მეომარ მხარეებს დაუყოვნებლივ და სავსებით შეწყვიტონ ცეცხლი“.

რა არის აქ გაუგებარი?

რასაკვირველია, შეიძლება მოიმიზეზო გაუგებლობა. მაგრამ ეს მომიზეზება როდი დაამშვენებს რეზოლუციის ამ პროექტის ავტორებს. ბ-ნმა მენონმა, როცა ცეცხლის შეწყვეტაზე ლაპარაკობდა, განაცხადა, თითქოს სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება ცეცხლის შეწყვეტის საკითხზე არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, რაც ნათქვამია ინდოეთის რეზოლუციის პროექტის პრეამბულის მე-2 პარაგრაფში. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ინდოეთის რეზოლუციის პროექტი არ ითვალისწინებს ცეცხლის შეწყვეტას, ე. ი. არ აკეთებს იმ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს, რაც უნდა გაკეთდეს, და ამის გამო ხელს არ უწყობს კორეის საკითხის ნამდვილ მოწესრიგებას.

ერაყის წარმომადგენელმა ბ-ნმა ჯემალიმაც განაცხადა, თითქოს იგი ცეცხლის შეწყვეტის მომხრეა და ამის დასამტკიცებლად ჯიბიდანაც კი ამოიღო თავისი რეზოლუციის პროექტი თუ წინადადება, რომელიც თითქოს მას სურდა შემოეტანა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ბატონო ჯემალი, რატომ არ შემოიტანეთ ეს რეზოლუციის პროექტი? რატომ გიდევთ ჯიბეში იგი? ბ-ნმა ჯემალიმ სცადა იმით აეხსნა ეს, რომ თურმე იგი შემდეგ დაეთანხმა ინდოეთის რეზოლუციის პროექტს და ამიტომ საკითხი მოიხსნა. მაგრამ ეთანხმებოდე იმას, რაც ინდოეთის პროექტში არ არის, და ამბობდე, საკითხი მოიხსნაო, ეს სრული უაზრობაა. გვეუბნებიან, რომ აქ ყველას სურს კორეაში ომი შეწყდეს. გვეუბნებიან, ახლა ყველაფერი დამოკიდებულია საბჭოთა კავშირის პოზიციაზეო. მაგრამ, ბატონებო, დაფიქრდით, რას ამბობთ! მე მივმართავ იმათ, ვინც ეს თქვა და, კერძოდ, ბ-ნ მენონს. საბჭოთა კავშირი ხომ არა მარტო იმას ამბობს, რომ სურს შეწყდეს ომი კორეაში, არამედ წინადადებაც შემოიტანა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. თუ ამ წინადადებას მიიღებთ, ეს იქნება უკვე ნაბიჯი — და ფრიად სერიოზული ნაბიჯი ომის შესაწყვეტად. მაგრამ თქვენ არა გსურთ მიიღოთ ეს წინადადება.

ბ-ნმა მენონმა სიტყვა დაამთავრა პათეტიკური მოწოდებით საბჭოთა კავშირისადმი — შეეურთდეს ინდოეთის რეზოლუციის პროექტს და უზრუნველყოს ერთიანობა ამ საკითხში.

ჩვენ ვკითხულობთ, ერთიანობა რაში? თქვენ არა გსურთ შეწყვიტოთ ცეცხლი კორეაში, თქვენ ამის წინადადებას არ იძლევით და ამავე დროს გსურთ ჩვენ დაგვაკისროთ რაღაც პასუხისმგებლობა, მოგვიწოდებთ იმისაკენ, რომ არ გავაფუჭოთ თქვენი ერთიანობა. მაგრამ თქვენი ერთიანობა არის ერთიანობა მიუღებელ საფუძველზე, ომის განგრძობის საფუძველზე, ჩვენ კი მოვითხოვთ ერთიანობას ომის შეწყვეტის საფუძველზე. სწორედ კორეის ომის შეწყვეტას მოითხოვს მსოფლიოს ყველა ხალხი.

მეორე საკითხი, რომელსაც ბ-ნი მენონი შეეხო, არის ინდოეთის რეზოლუციის პროექტის პრეამბულის მე-8 პარაგრაფის ჩვენი შესწორების საკითხი. ბ-ნი მენონი ამბობდა, რომ, არსებითად რომ ითქვას, პრეამბულის ამ პარაგრაფის ჩვენს შესწორებას თითქოს უკვე შეიცავს ეს პარაგრაფი. მაგრამ ინდოეთის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის ამ პარაგრაფში ნათქვამია, რომ „ძალა არ უნდა იქნას ნახმარი სამხედრო ტყვეთა მიმართ, რათა ხელი შევუშალოთ ან ვაიძულოთ ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში“. ჩვენ მოვითხოვთ ითქვას, რომ „სამხედრო ტყვეთა მიმართ მუდამ იყოს ადამიანური მოპყრობა ჟენევის კონვენციის პირდაპირი დადგენილებების და ამ კონვენციის საერთო სულისკვეთების შესაბამისად“.

მე უკვე განვმარტე სხვა დელეგატების ზოგიერთი შენიშვნის პასუხად, თუ რატომ ვართ იმის წინააღმდეგი, რომ აქ ლაპარაკი იყოს „ძალაზე“. მოკლედ უნდა მოგაგონოთ, რა არის საქმის არსი, ერთხელ კიდევ აგიხსნათ, თუ რატომ ვართ ამ სიტყვის წინააღმდეგი, რომელსაც სრულიად ხელოვნური და ყალბი ხასიათი აქვს. ამბობენ, რეპატრიაციის დროს ძალის გამოყენება არ შეიძლებაო, ე. ი. არ შეიძლება დაშვებულ იქნას იძულებითი რეპატრიაცია, არაიძულებითი რეპატრიაციის მოთხოვნით **შეინიღბოს სამხედრო ტყვეების იძულებითი დაკავება ტყვეობაში.** ზოგიერთი დელეგატი საკითხის ამ მხარეს გვერდს უვლის, და ბ-ნი მენონი ამას მხოლოდ გაკვრით შეეხო. მან თურმე არ იცის ყოველივე ის, რაც მოხდა, იგი, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა, ფიქრობს, რომ შესაძლოა კიდევაც იყო ისეთი რამ, რაც დაკავშირებულია წარსულში იძულებით დაკავებასთან, მაგრამ რა საჭიროა წარსულის გახსენება, როცა მომავალს უნდა ვუცქეროდეთო. მაგრამ იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რა მოხდება, და იმისათვის, რომ სწორი ორიენტაცია ავიღოთ მომავალში, საჭიროა ვიცოდეთ წარსული და არ დავივიწყოთ ეს წარსული, ისევე როგორც აწმყო. ჩვენ სწორედ იმიტომ შემოგვაქვს მე-8 პარაგრაფის შესწორებანი, რომ არ ვივიწყებთ იმას, რაც ნამდვილად იყო ჩინელი და კორეელი სამხედრო ტყვეების ამერიკულ ბანაკებში. არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რაც წარსულში იყო, ისე როგორც არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რაც ახლა კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს ემართებათ ამერიკულ ბანაკებში. სიმართლეს თუ თვალს გავუსწორებთ, მაშინვე გაქრება მითი, თითქოს კორეელმა და ჩინელმა სამხედრო ტყვეებმა უარი განაცხადეს სამშობლოში დაბრუნებაზე, ხოლო ამასთან ერთად გასაგები გახდება, რომ სულიერად განადგურებულ, გატანჯულ და განაწამებ ადამიანებს, ნეიტრალურ ზონაშიც რომ იყვნენ, არ შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ თავიანთი ბედი, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი სურვილი. როგორ უვლის გვერდს ბ-ნი მენონი ამ სიძნელეს? ამას იგი ძალიან უბრალოდ სჩადის. იგი აცხადებს, რომ შესაძლებელია ესენი იყვნენ ფსიქიკურად არანორმალური ადამიანები, როგორც მან თქვა, „ფსიქოპათები“, და იგი წინადადებას იძლევა ისინი არ დავაბრუნოთ სამშობლოში, არამედ მოვთავსოთ საავადმყოფოში. მაგრამ, ბ-ნო მენონ, ჟენევის კონვენცია გვავალებს, რომ ავადმყოფი სამხედრო ტყვეებიც სამშობლოში დავაბრუნოთ. არ შეიძლება მათი გამომწყვდევა საგიჟეთში იმ საბაბით, რომ ისინი გიჟები არიან, და ისინი იქ ვიყოლიოთ უთვალავი თვისა თუ წლის განმავლობაში. მაშასადამე, თუ არიან ფსიქიკურად არანორმალური ადამიანები, როგორც თქვენ ამბობთ, „ფსიქოპათები“, ისინი შინ უნდა დავაბრუნოთ და არ დავაკავოთ ამერიკულ ბანაკებში და არ ვაიძულოთ ეს ადამიანები, ნახევრადგიჟები თუ გიჟები, თქვენ — სურთ თუ არა სამშობლოში დაბრუნება.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საერთოდ მთელი ეს ისტორია, თითქოს სამხედრო ტყვეებმა გამოთქვეს სურვილი და მისწრაფება ძალით გაუწიონ წინააღმდეგობა თავიანთ რეპატრიაციას, — ყოველივე ეს ნაყალბევია, მოგონილია, რადგან ასეთი უარი, თუნდაც რომ ყოფილიყო იგი, გამოძალულია ამერიკელთა ტერორით.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენო ბ-ნ ლოიდის განცხადება მის პირად შთაბეჭდილებათა შესახებ, რომლებიც მან თითქოს მიიღო სამხედრო ტყვეთა ერთ-ერთი ბანაკის დათვალიერებისას. ჩვენ მაშინ ცხადვყავით, რომ მისი საუბარი სამხედრო ტყვეებთან არაფერ იმას არ ამტკიცებს, რისი დამტკიცებაც მას სურდა, ე. ი. რომ ისინი მართლაც უარს ამბობენ შინ დაბრუნებაზე თითქოს იმის შიშით, რომ სამშობლოში მათ დასჯიან მათი წინანდელი პოლიტიკური საქმიანობისათვის. მაშინ ჩემს განკარგულებაში იყო მხოლოდ ამერიკელი გენერლების კოლსონის, დოდის ცნობები, ეგრეთწოდებული წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ცნობა და კიდევ ის, რასაც აქ ბ-ნი ლოიდი ამბობდა. მაგრამ მაშინაც ცხადი იყო ჩვენთვის, რომ ბ-ნ ლოიდის განმარტება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენ პირდაპირ ვამბობდით, რომ შეუძლებელია იმის გაგება, თუ რაღა უშლის ხელს იმ ორ თუ სამ კაცს, რომლებსაც ბ-ნი ლოიდი ესაუბრა, დაბრუნდნენ შინ, იმიტომ, რომ ის, რასაც ბ-ნი ლოიდი გვეუბნებოდა, ვერ ხსნის ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის მოტივებს, როგორიც არის სამშობლოში დაბრუნებაზე უარის თქმა. მე მაშინ აღვნიშნე, რომ ბ-ნ ლოიდის მიერ მოყვანილი მაგალითები დამაჯერებელი არ არის, რომ იგი მაშინ დაკმაყოფილდა უმნიშვნელო საერთოფრაზებით და უსაბუთოდ იმეორებდა ლიტონ ზლაპრებს, რომ ზოგიერთ ჩინელ და კორეელ სამხედრო ტყვეს თითქოს არა სურს შინ დაბრუნება. მე 10 ნოემბერს ვამბობდი, ეს ბ-ნმა ლოიდმა სრულიად უპასუხოდ დატოვა, რომ ყოველივე იმიდან, რაც მან აქ თქვა კორეაში სამხედრო ტყვეებთან საუბრის შესახებ, არავითარი ეჭვი არ რჩებოდა, რომ ყოველივე ეს ხელოვნური საქმეა, ცუდი მონაჩმახია, რომ თვით ბ-ნ ლოიდს არა სჯერა ის, რასაც აქ გველაპარაკებოდა, რომ ეს არის კორეაში ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა პროვოკაციული ჭორი, რომელიც გამოყენებულია იმისათვის, რომ ჩაშალონ შეთანხმება დაზავების შესახებ, გააჭიანურონ ომი კორეაში ამერიკელ მილიარდერთა მიერ ახალი და ახალი კოლოსალური მოგების მისაღებად. ცნობილია, რომ გასულ წელს ამერიკის მონოპოლისტებმა კორეის ომით ოც მილიარდ დოლარზე მეტი მოგება მიიღეს!

ამჟამად ხელთა მაქვს დოკუმენტი, რომელიც საჭიროდ მიმაჩნია გავაცნო კომიტეტს. ეს არის კანადის გაზეთ „სტარ უიკლში“ გამოქვეყნებული ცნობა კორეაში კანადელი სამხედრო კორესპონდენტის ბ-ნ უილიამ სტივენსონისა მის მიერ ბ-ნ ლოიდთან ერთად სამხედრო ტყვეთა ბანაკის დათვალიერების შესახებ. ბ-ნი უილიამ სტივენსონი თავის ცნობაში ამბობს, თუ ბ-ნ ლოიდთან ერთად როგორ ინახულა ბანაკი, და ლაპარაკობს, რომ ამ ბანაკში ამერიკის სარდლობა ფართოდ იყენებს ჩანკაიშელ და ლისინმანელ ტერორისტებს, რათა კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს უარი ათქმევინოს შინ დაბრუნებაზე. ცნობაში აღნიშნულია, რომ კუნძულ კოჯედოზე მოქმედებს ეგრეთწოდებული კორეელთა „ახალგაზრდობის ანტიკომუნისტური ლიგა“, რომელიც შიშის ზარს სცემს სამხედრო ტყვეებს. აი ამ კორესპონდენტის ნამდვილი სიტყვები:

„ერთგვარი წარმოდგენა ჩინელი ნაციონალისტების (ე. ი. ჩანკაიშისტების. — ა. ვ.) კორეაში ჩარევის ეფექტიანობის შესახებ გამოჩნდა, როცა როგორც ერთადერთი კორესპონდენტი დაშვებული ვიყავი ერთ-ერთ სამხედრო ტყვეთა ბანაკში კოჯედოზე, რომლისადმი კონტროლს ახორციელებდა ახალგაზრდობის ანტიკომუნისტური ლიგა. ჩემთან ერთად იყო ინგლისის სახელმწიფო მინისტრი სელვინ ლოიდი...

გენერალ ლასტეიოს (ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების მომარაგებისა და განლაგების ეგრეთწოდებული მე-2 სარდლობიდან. — ა. ვ.) ერთ-ერთმა ხელქვეითმა პოლკოვნიკმა ჯოზეფ ჯეიმსმა აგვიხსნა: „ახალგაზრდობის ანტიკომუნისტური ლიგა აქ ამყარებს დისციპლინას და სჯის ყველას, ვინც ფარგლებს სცილდება“. ჩვენი უშიშროება ბანაკში ფაქტიურად დამოკიდებული იყო ამ ლიგის ლიდერების კეთილ ნებაზე. მათი ცნობა შეიძლებოდა ლიტონის ნიშნებით, რომლებიც მთ ღილკილოში ჰქონდათ. ეს ადამიანები ახორციელებდნენ კონტროლს თავიანთი ამხანაგებისადმი — სამხედრო ტყვეებისადმი „ბატალიონის მეთაურების“ მეშვეობით, რომლებმაც ბანაკში შეგვიყვანეს მას შემდეგ, რაც გენერალი ლასტეიო დაარწმუნეს, რომ ჩვენ არაფერი დაგვიშვებდნოდა. ამ ბანაკში იყო 10.400 ჩინელი და ჩრდილოეთკორეელი სამხედრო ტყვე, რომლებმაც ხმა მისცეს სამშობლოში მათი რეპატრიაციის წინააღმდეგ... მოკლე გამოკვლევამ ცხადყო, რომ ეს კენჭისყრა ერთხმივი იყო **ფიზიკური** ძალადობის მუქარის გამო, რასაც ლიგის წევრები მიმართავდნენ ყოველი უკმაყოფილოს მიმართ და რაც ხშირად ხორციელდებოდა. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი სიტუაცია გაბატონებული იყო სამხედრო ტყვეთა სხვა „ანტიკომუნისტურ“ ბანაკებში, სადაც ჩინელმა ინსტრუქტორებმა სამხედრო ტყვეებს განუცხადეს: „ითხოვე ფორმოზაზე წასვლა, თუ არა და აქ დარჩები და დალპები...“.

შემდეგ სტივენსონის ამ სტატიაში ნათქვამია:

„ფორმოზის სტრატეგიის ამ ნაწილის შედეგი იყო ხანგრძლივი ჩიხი კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დელეგატებმა მიიღეს ყოველი იმ სამხედრო ტყვის რეპატრირებაზე უარის თქმის პოლიტიკა, რომელსაც გულწრფელად ეშინია დაბრუნდეს კომუნისტურ ტერიტორიაზე... მას შემდეგ ცხადი გახდა, რომ ამ ადამიანთაგან ბევრს არავითარი განსაკუთრებული მიზეზი არა აქვს მოელოდეს რეპრესიებს კომუნისტებისაგან, არამედ ნამდვილად ეშინიათ ანტიკომუნისტი ხელმძღვანელებისა თავიანთ საკუთარ ბანაკებში“.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არაფერი ვთქვა აგრეთვე შემდეგ ფაქტზე. გუშინ ტორონტოდან მივიღე ტორონტოს გაზეთ „კანადიენ ტრიბუნის“ რედაქტორის ჩარლზ სიმზის იმ წერილის პირი, რომელიც მან გაუგზავნა ბ-ნ პირსონს, გენერალური ასამბლეის VII სესიის თავმჯდომარეს. ამ წერილში ნათქვამია: „დიდად პატივცემულო ბატონებო! მხოლოდ ერთი რამ უშლის ხელს იმას, რომ კორეაში დამყარდეს მშვიდობა, რომ სამშობაოდ შინ დაბრუნდნენ კორეის ფრონტიდან კანადის შვილები, — და ეს ერთი რამეა კორეაში ამერიკის სარდლობის მიერ ჰუმანიზმისა და საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპის საშინელი გათელვა. ჩვენ თქვენს ყურადღებას მივაქცევთ კორეაში სამხედრო კორესპონდენტის უილიამ სტივენსონის სენსაციურ აღიარებას, რაც გამოქვეყნდა ტორონტოს გაზეთ „სტარ უიკლის“ 22 ნოემბრის ნომერში. ამ კორესპონდენტმა და ინგლისის სახელმწიფო მინისტრმა სელვინ ლოიდმა ინახულეს სამხედრო ტყვეთა ბანაკი კუნძულ კოჯედოზე და ნახეს იმის უდავო დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არმიის კულტურისა და განათლების საკითხთა სამსახურმა სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გაგზავნა ტერორისტები, რათა სამხედრო ტყვეები აიძულოს შევიდნენ ჩან კაი-შის არმიაში, და რომ ჩინელ და კორეელ სამხედრო ტყვეთა უმრავლესობას სურს შინ დაბრუნდეს. გთხოვთ სტივენსონის სტატია შეიტანოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოქმებში და დაიკავოთ კორეაში ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტისა და სამხედრო ტყვეთა საკითხის მოწესრიგების პოზიცია ჟენევის კონვენციის შესაბამისად და ამ გზით მხარი დაუჭიროთ კანადის ეროვნულ ინტერესებს, ჰუმანურობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს“.

ამ დოკუმენტებმა ბოლო უნდა მოუღონ მითს, თითქოს კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს არა სურდეთ შინ დაბრუნება და რომ მათ თითქოს გადაწყვიტეს ძალით გაუწიონ წინააღმდეგობა სამშობლოში მათი დაბრუნების ყოველ ცდას. უნდა გვიკვირდეს, რომ ბ-ნმა ლოიდმა, რომელმაც კომიტეტში განაცხადა, რომ იგი კორეაში გაემგზავრა თავისი მთავრობის სპეციალური დავალებით, რათა გამოერკვია, თუ ნამდვილად რას უშვრებიან სამხედრო ტყვეებს სამხრეთ კორეაში, ყველა ამ ფაქტის შესახებ არაფერი გვაცნობა.

სამაგიეროდ ამ ბანაკებში არსებული მდგომარეობის შესახებ ილაპარაკა უილიამ სტივენსონმა კანადის გაზეთ „სტარ უიკლის“ ფურცლებზე მოთავსებულ თავის კორესპონდენციაში. მან თავის კორესპონდენციაში გამოამჟღავნა მთელი საშინელებანი, ძალადობა, ტერორი, რასაც ამ ბანაკებში კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა წინააღმდეგ სჩადის ანტიკომუნისტური ლიგა, სჩადიან ჩანკაიშელი და ლისინმანელი ავაზაკები ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა მფარველობითა და ხელშეწყობით. ყოველივე ამას ვერ ითვალისწინებს ვერც ბ-ნი მენონი, ვერც ინდოეთის მთელი დელეგაცია, ისინი ვერ ითვალისწინებენ იმას, რომ ასეთ ვითარებაში ინდოეთის რეზოლუციის დამოწმება იმის შესახებ, რომ შეუწყნარებელია ძალის გამოყენება ამა თუ იმ მიზნით, ცარიელი სიტყვებით თამაშია და რომ სიტყვებით ასეთ თამაშს სამხედრო ტყვეთა „უფლებისა“ და „თავისუფლების“ შესახებ, იმის შესახებ, რომ გადაწყვიტონ სამშობლოში დაბრუნების საკითხი, ყალბი, ფარისევლური ხასიათი აქვს. მთელი ეს თამაში ასეთი სიტყვებით განკუთვნილია იმისათვის, რომ მიჩქმალონ მხეცური მეთოდები, რომლებსაც იყენებს ამერიკის სარდლობა კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა წინააღმდეგ, რათა სამშობლოში დაბრუნებაზე მათ მიერ ვითომდა უარის თქმის საბაბით ჩაშალოს შეთანხმება დაზავებაზე ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების საამებლად.

საბჭოთა დელეგაციას თავის მოვალეობად მიაჩნია ამხილოს ეს სიყალბე და ამიტომ უარს ამბობს იმაზე, რომ მხარი დაუჭიროს ინდოეთის დელეგაციის ასეთ წინადადებებს. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ვამხილოთ ჟენევის კონვენციის და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების უხეში დარღვევა, რომლებიც მოითხოვენ ყველა სამხედრო ტყვის უდავოდ დაბრუნებას სამშობლოში. ამ მოთხოვნაზე უარის თქმის მიზანი ერთია — ის, რომ ჩაშალოს მოლაპარაკება კორეის დაზავებაზე ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ინტერესების სასარგებლოდ.

ამ თვალსაზრისით მე ზედმეტად არ მიმაჩნია მოგაგონოთ გაზეთ „ჯორნელ ოფ კომერსში“ მოთავსებული ცნობა, რომ ლაპარაკი ცეცხლის შეწყვეტის შესაძლებლობის შესახებ გამოიწვევს ფასების შემცირებას ბირჟებზე. განა ჟურნალმა „ბიზნეს უიკმა“, რომელიც ნიუ-იორკში გამოდის, 28 ნოემბერს არ განაცხადა, რომ „დაზავება თითქმის გარდუვალს გახდის საქმიანი აქტივობის ნაწინასწარმეტყველევ დაცემას“?

ამ პირობებში რა მნიშვნელობა აქვს იმათ პოზიციას, ვინც იბრძვის კორეაში ცეცხლის შეწყვეტის წინააღმდეგ? მას ერთი მნიშვნელობა აქვს— ეს არის ომის განგრძობა კორეაში.

მაშ რას ნიშნავს ასეთ პირობებში ჩვენი მოთხოვნა — კორეაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ? იგი ნიშნავს სიცხლისაღმოფხვრის შეწყვეტას, ასეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლის ხსნას.

აი რატომ ვამტკიცებთ ჩვენ, რომ საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტი ძირეულად განსხვავდება ინდოეთის რეზოლუციის პროექტისაგან და მასთან საერთო არაფერი აქვს.

ინდოეთის რეზოლუციის პროექტი არათუ ხელს არ უწყობს იმას, რომ შეწყდეს კორეის ომი, არამედ, პირიქით, იგი ხელს უწყობს ომის გაჭიანურებას.

ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ჩვენს წინადადებას კორეაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ინდოეთის პროექტი უარს ამბობს კორეაში ომის შეწყვეტაზე. ჩვენ ვერ გაგვიტაცებენ ვერავითარი ყალბი დეკლარაციებით, ვერავითარი იმის მსგავსი ყალბი ფრაზებით, რაც აქ გაისმოდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოწოდებულია იბრძოლოს მშვიდობისათვის არა სიტყვითა და ცარიელი რეზოლუციებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა ცდილობდეს კორეაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას აქტიური ჩარევით, რათა მშვიდობიანად მოწესრიგდეს კორეის საკითხი.

საბჭოთა კავშირი კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დაწყების ინიციატორი იყო — და ჩვენ ვამაყობთ ამით. ამჟამად ჩვენ დავალებული გვაქვს მივაღწიოთ აქ იმას, რომ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება კორეაში ცეცხლის დაუყოვნებლივ და

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

## პღენარუღ სხდომაზე

**ნიუ-იორკი,** 4 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეა შეიკრიბა, რათა კენჭი ეყარა კორეაში სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხზე ინდოეთის რეზოლუციის პროექტისათვის, ამ პროექტის საბჭოთა კავშირის შესწორებებისა და კორეის საკითხზე საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტისათვის.

კომენტარს უკეთებს რა იმას, რომ პოლიტიკური კომიტეტის ამერიკა-ინგლისის უმრავლესობამ მოიწონა ინდოეთის რეზოლუცია, ამერიკის შეერთებული შტატების პრესა სულ უფრო გულახდილად წერს, თუ რას შეიცავს სინამდვილეში ინდოეთის ყბადაღებული წინადადება. რომლის არსიც გამომჟღავნდა საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციების გამოსვლებში. მაგალითად, გაზეთი „ქრისჩენ საიენს მონიტორი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს რეზოლუცია სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხში ამერიკის პოზიციის „აშკარა მოწონებაა“.

გუშინდელ სხდომაზე გამოსულმა ინდოეთის წარმომადგენელმა კრიშნა მენონმა, ცხადია ვერ შეძლო, გაეკარწყლებინა ეს შთაბეჭდილება. ცდილობდა რა მეჩქმალა ის ფაქტი, რომ ინდოეთის რეზოლუცია, როგორც ეს საბჭოთა დელეგაციამ დაგვანახვა, არ შეიცავს კორეაში ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნას და მიზნად არ ისახავს კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას, მენონმა მოითხოვა რეზოლუციის პრეამბულის ტექსტში აღინიშნოს, რომ ინდოეთის დელეგაციის წინადადებათა საფუძველზე სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხში შეთანხმებას მოჰყვებოდა ცეცხლის შეწყვეტა. ეს აღნიშნა არავის არაფერს არ ავალებს. სინამდვილეში ეს წმინდა სიტყვიერი ოინები საქმის ვითარებას არ ცვლის. ინდოეთის რეზოლუცია კვლავ არ შეიცავს არავითარ მოთხოვნას კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ეს დამაჯერებელად ცხადყო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ, რომელმაც სიტყვა აიღო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის რეზოლუცია ითვალისწინებს არა კორეაში ომის შეწყვეტას, არამედ მის განგრძობას და გაჭიანურებას. ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ სწორედ საბჭოთა წინადადებებს კორეაში საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ უწევენ ნაოყმღვგობას ინდოეთის რეზოლუციის ავტორები და ყველა დელეგაცია, რომლებიც მხარს უჭერენ ამ რეზოლუციას. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ მხოლოდ საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ყველა სამხედრო ტყვის უთუო რეპატრიაცია ხდის შესაძლებელს ნამდვილად და ეფექტიანად გადაწყდეს კორეის საკითხი.

შემდეგ გამოსულმა ავსტრალიის წარმომადგენელმა ცხადყო, თუ რა შინაარსს აძლევენ ინდოეთის რეზოლუციას ისინი, ვინც მას მხარს უჭერს. ავსტრალიის დელეგატი ყოველნაირად აღნიშნავდა, რომ ინდოეთის რეზოლუცია მიზნად არ ისახავს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. საფრანგეთის წარმომადგენელი ყალბი „შვიდობიმოყვარული“ ფრაზებით ცდილობდა მიეჩქმალა თავისი პირდაპირი უარი იმაზე, რომ ინდოეთის რეზოლუციის პროექტში შეიტანონ მოთხოვნა კორეაში საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

ირანის წარმომადგენელმა, რომელმაც აგრეთვე განმარტა კენჭისყრის მოტივები, კვლავ განაცხადა, რომ იგი სავსებით ეთანხმება საბჭოთა კავშირის შესწორებათა იდეებს, მაგრამ, მიუხედავად აშკარა ფაქტებისა, იგი ამტკიცებდა, რომ ეს იდეები თითქოს გამოხატულია ინდოეთის რეზოლუციის პროექტში.

ამის შემდეგ კენჭი ეყარა ინდოეთის რეზოლუციის პროექტის საბჭოთა შესწორებებს. როგორც მოსალოდნელი იყო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრესორულმა ბლოკმა ხმა მისცა საბჭოთა კავშირის ყველა შესწორების წინააღმდეგ. სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციებმა ხმა მისცეს საბჭოთა დელეგაციის შესწორებების კენჭისყრის დროს, რომლებიც ითვალისწინებენ კორეაში საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და კორეის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების კომისიის შექმნას, 9 ქვეყნის (საუდის არაბეთის, სირიის, იემენის, ავღანეთის, ირანის, ეგვიპტის, ბირმის, ინდონეზიისა და ინდოეთის) დელეგაციებმა ხელი შეიკავეს.

ამერიკა-ინგლისის ბლოკმა მიიღო ინდოეთის რეზოლუციის პროექტი. სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ პროექტის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ მთელმა რიგმა დელეგაციებმა განმარტეს კენჭისყრის მოტივები. უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ა. ფ. ბარანოვსკიმ აღნიშნა, რომ ინდოეთის რეზოლუციაში არაფერია ნათქვამი ყველა საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, ხოლო ინდოეთის დელეგაციის წარმომადგენელის მენონის გაწმარტებანი და ამერიკის რეზოლუციის იმ თანაავტორთა გამოსვლა პოლიტკურ კომიტეტში, რომლებიც ინდოეთის რეზოლუციას შეუერთდნენ, ნათლად მოწმობს იმას, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტა მათ მიაჩნიათ შორეულ პერსპექტივად. ამის ნაცვლად პირველ ადგილზე წამოყენებულია სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი, ამასთან ინდოეთის დელეგაციამ აირჩია ამ საკითხის გადაწყვეტის ამერიკული გზა.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, საფუძვლად დაუდო რა თავის რეზოლუციას ამერიკული „რეპატრიაციის პრინციპები“, რომლებიც აშკარად მიუღებელია კორეის მხარისათვის და უარყოფილია კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა წარმომადგენლების მიერ პანმუნჯონის მოლაპარაკების მსვლელობაში, ინდოეთის დელეგაციამ თავისი თავი კორეაში ომის განგრძობის მომხრეთა ბანაკში დააყენა. ცხადია, უკრაინის სსრ დელეგაციას, განაცხადა ა. ფ. ბარანოვსკიმ, არ შეეძლო სხვა პოზიცია დაეკავებინა ინდოეთის რეზოლუციის მიმართ, გარდა იმისა, რომ გამოსულიყო ამ რეზოლუციის ძირითად დებულებათა წინააღმდეგ. ამასთან ერთად, ცდილობდა რა მიეღწია შეთანხმებული გადაწყვეტილებისათვის კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, უკრაინის სსრ დელეგაციამ მტკიცედ დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ ინდოეთის რეზოლუციაში შესატანად წარდგენილ შესწორებებს, რომლებსაც შეეძლო გაეუმჯობესებინა ინდოეთის რეზოლუცია და გაეხადა იგი კორეის საკითხის მოწესრიგებისათვის მისაღებ საფუძვლად. ინდოეთის რეზოლუციის საბჭოთა შესწორებების მიზანია და ამაშია მათი უდიდესი მნიშვნელობა — კორეის მთელი საკითხისა და მასთან ერთად სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა.

შემდეგ გამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გროსმა არსებითად აღიარა, რომ ინდოეთის რეზოლუციის პროექტი არაფერით არ განსხვავდება ამერიკის წინადადებისაგან და ამით დაადასტურა საბჭოთა დელეგაციის მიერ ინდოეთის რეზოლუციის გაკრიტიკების სამართლიანობა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საომარი მოქმედება კორეაში მანამდე არ შეწყდება, სანამ არ გადაიჭრება სამხედრო ტყვეთა საკითხი. ამით გროსმა ცხადყო ინდოეთის დელეგატის მენონის „განმარტების“ მთელი სიყალბე, რომელიც ამტკიცებდა, რომ მისი რეზოლუცია თითქოს ითვალისწინებს კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტას.

ფილიპინების წარმომადგენელმა რომულომ და გომინდანელმა აგრეთვე განაცხადეს, რომ ინდოეთის რეზოლუცია მთლიანად ასახავს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის“, ესე იგი ამერიკის სარდლობის პოზიციას სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხში.

კენჭისყრის მოტივები დაწვრილებით განმარტა პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სკშეფვსკიმ. მან განაცხადა, რომ პოლონეთის დელეგაციამ ხმა მისცა ინდოეთის რეზოლუციის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ეს რეზოლუცია სინამდვილეში მოითხოვს არა კორეის ომის შეწყვეტას, არამედ მის განგრძობას. პოლონეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა შესწორებანი, მათი მიღების შემთხვევაში, ძირეულად გაუმჯობესებდნენ ინდოეთის რეზოლუციის შინაარსს. ხაზგასმით აღნიშნა რა საბჭოთა შესწორებების განსაკუთრებული მნიშვნელობა, სკშეფვსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადებანი შეიცავენ კორეაში საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის რეალურ პროგრამას და სახავენ კორეის მთელი პრობლემის გადაწყვეტის გზას.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა სეკანინოვამ თავის განცხადებაში კენჭისყრის მოტივების შესახებ აღნიშნა, რომ მის დელეგაციას არ შეეძლო ხმა მიეცა ინდოეთის რეზოლუციისათვის, რომელიც ფაქტიურად ამარცლებს ამერიკის აგრესიულ პოლიტიკას კორეაში და არ შეიცავს კორეაში ომის შეწყვეტის არავითარ რეალურ წინადადებას. ამასთან სეკანინოვამ დელეგატების ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოელიან უყოყმანოდ სასწრაფო და გადაუდებელ ღონისძიებებს კორეაში სისხლისღვრის შესაწყვეტად. ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა წინადადებების კონსტრუქტიულობა და მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა მშვიდობის დამყარებისათვის, წინადადებებისა, რომლებიც ასახავენ მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის მისწრაფებასა და იმედებს.

შემდეგ კენჭი ეყარა საბჭოთა რეზოლუციის პროექტს, რომელიც კორეაში მეომარ მხარეებს რჩევას აძლევს დაუყოვნებლივ და მთლიანად შეწყვიტონ ცეცხლი და სამხედრო ტყვეთა სრული რეპატრიაციის საკითხი განსახილველად გადასცენ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების კომისიას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, ბირმის, ჩეხოსლოვაკიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ კორეის შემადგენლობით.

ამ კომისიას ევალება აგრეთვე დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი, რათა მოაწესრიგოს კორეის საკითხი კორეის გაერთიანების სულისკვეთებით, რასაც განახორციელებენ თვით კორეელები ამ კომისიის მეთვალყურეობით.

საბჭოთა რეზოლუციის პროექტი უარყო ამერიკა-ინგლისის უმრავლესობამ, რომელიც კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების წინააღმდეგია და მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოლიტიკას, რომლის მიზანია კორეის ომის განგრძობა.

საბჭოთა რეზოლუციის პროექტს ხმა მისცეს სსრ კავშირის, პოლონეთის, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკიისა და ბელორუსის სსრ დელეგაციებმა. 11 ქვეყნის დელეგაციებმა (ავღანეთი, არგენტინა, ბირმა, ეგვიპტე, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, პაკისტანი, საუდის არაბეთი, სირია, იემენი) თავი შეიკავეს. ოთხი ქვეყნისა—ლიბანის, ლიბერიის, გვატემალისა და ჰაიტის წარმომადგენლები სხდომას არ დასწრებიან.

სხდომის დასასრულს კენჭისყრის მოტივები განმარტა ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ვ. კისელიოვმა. ბელორუსიის სსრ დელეგაციამ, განაცხადა ამხ. კისელიოვმა, ხმა მისცა ინდოეთის რეზოლუციის წინააღმდეგ ხმიტომ, რომ ეს რეზოლუცია არ ითვალისწინებს კორეაში საომარი მოქმედების ნამდვილ და დაუყოვნებლივ შეწყვეტას, აგრეთვე იმიტომ, რომ ინდოეთის რეზოლუცია გვერდს უხვევს ჟენევის კონვენციის პრინციპებს სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის შესახებ, ქმნის სხვადასხვა საძრომს, გზას უხსნის ყოველგვარ ბოროტმოქმედებას და კვლავ ამერიკის სარდლობის ინაბარად ტოვებს სამხედრო ტყვეებს.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის შესწორებებს კორეაში ცეცხლის დაუყოვნებლივ და სავსებით შეწყვეტის, კომისიის დაარსების, სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციისა და სხვ. შესახებ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი გამოხატავენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა მისწრაფებებსა და სამართლიან მოთხოვნებს, რომელთაც გულწრფელად სურთ ომის შეწყვეტა კორეაში.

კორეის ომის რაც შეიძლება მალე დამთავრება, განაცხადა კისელიოვმა, მთლიანად შეესაბამება აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებს და ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებს. საბჭოთა კავშირის მშვიდობიან წინადადებებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კორეელმა და ჩინელმა ხალხებმა, მხარი დაუჭირა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. ეს წინადადებანი გამოხატულებაა მთელი მსოფლიოს ხალხთა მისწრაფებისა — რაც შეიძლება მალე შეწყდეს კორეის ომი, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა დამყარდეს მთელ მსოფლიოში.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტი და ინდოეთის რეზოლუციის საბჭოთა შესწორებანი იძლეოდნენ კორეის ომის უსწრაფესი დამთავრების სრულ შესაძლებლობას და სახავდნენ სწორ გზას კორეის მთელი საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. მიღებული რეზოლუცია კი პირიქით, ნიშნავს კორეაში სისხლისმღვრელი ომის განგრძობას. ამით სხდომა დამთავრდა.

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 6 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 6 დეკემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები განგლილი დღის მანძილზე ადგილობრივი მნიშვნელობის ტრიალებს ეწეოდნენ კიმხვის რაიონში.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 და დაზიანეს 4 თვითმფრინავი.

**ფხენიანი,** 7 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები კიმხვისა და პანმინჯონის რაიონში განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 თვითმფრინავი.

## მდგომარეობა ჯუნისში

**პარიზი,** 6 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტო ტუნისიდან იტყობინება, რომ საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გუშინ ორმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ — ტუნისელ მშრომელთა საყოველთაო კავშირმა და ტუნისის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებამ გამოაცხადა ფარჰატ ჰაშედის მოკვლის გამო გლოვის ნიშნად, დღეს დილითაც გრძელდებოდა.

გაფიცულია აგრეთვე ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულება. ტრანსპორტი ნელი ტემპით მუშაობს.

**პარიზი,** 7 დეკემბერი. (საკდესი). ტუნისელ მშრომელთა საყოველთაო კავშირის გენერალური მდივნის ფარჰატ ჰაშედის მოკვლასთან დაკავშირებით ტუნისში პოლიტიკური დაძაბულობის გაძლიერებას მთელი საფრანგეთის პრესა აღიარებს. გაზეთები იუწყებიან, რომ ფრანგი კოლონიური ხელისუფალნი ტუნისში სასწრაფო ღონისძიებებს იღებენ ეგრეთწოდებული „წესრიგის დაცვისათვის“. საფრანგეთის გენერალურმა რეზიდენტმა ტუნისში, დე ოტკლოკმა შეწყვიტა პარიზში ყოფნა და სასწრაფოდ გაემგზავრა ტუნისში, რათა საფრანგეთის ჯარების სარდალ გენერალ გარბესთან განიხილოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ამ მკვლელობის წინააღმდეგ სპროტესტო მოძრაობის ჩახშობა. პრესის ცნობებით, ტუნისში საბრძოლველად გაამზადეს პოლიციის, ჟანდარმერიისა და ჯარების დიდი კონტინგენტები.

ეშინიათ რა სახალხო მოძრაობის შემდგომი გაფართოებისა, ფრანგმა ხელისუფლებმა დაატყვევრეს ტუნისელ მშრომელთა საყოველთაო კავშირისა და პარტია „ნეო-დესტურის“ ბევრი მოღვაწე. ყველა დაპატიმრებული გაგზავნეს რემადის ბანაკში, რომელიც სამხრეთ ტუნისში მდებარეობს. ხალხის მანიფესტაციების შიშით, ფრანგმა ხელისუფლებმა განკარგულება გასცეს ფარულად დაეკრძალათ ჰაშედის გვამი ტუნისის სანაპიროს მახლობლად მდებარე პატარა კუნძულ კერკენზე.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, რაც ფრანგმა კოლონიურმა ხელისუფლებმა მიიღეს, მათ ვერ მოახერხეს შეეფერხებინათ საპროტესტო მოძრაობის გაძლიერება. ტუნისელ მშრომელთა საყოველთაო კავშირის მოწოდებით დაწყებული საყოველთაო გაფიცვა მოედო სამრეწველო საწარმოებს, კომუნალურ და სახელმწიფო დაწესებულებებს, სავაჭრო ფსელს, სასწავლებლებს და შეწყვიტა ტრანსპორტის მოძრაობა.

საფრანგეთის დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, რომ ჰაშედის მოკვლის მომწყობნი და შემსრულებელნი იყვნენ ტუნისში ფრანგ კოლონიზატორთა ტერორისტული ორგანიზაციის წევრები.

მემარჯვენე ფრანგული პრესაც კი შეშფოთებულია ამ მკვლელობის შედეგებით. გაზეთი „ონ	e“ წერს, რომ „ფარჰატ ჰაშედის მოკვლა ქმნის ახალ ფაზას საფრანგეთ-ტუნისის კრიზისის განეითარებაში და ამ კრიზისის საერთაშორისო მასშტაბით გაფართოების საფრთხეს“.

# უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი,** 6 დეკემბერი. (საკდესი). 5 დეკემბერს გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს ინდოეთისა და პაკისტანის დავა ჯაშმირის და ქაშმირის შესახებ.

საბჭოს განსახილველად წარდგენილია ქაშმირში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული წარმომადგენლის ამერიკელ გრეჰემის სათვალავით მეოთხე მოხსენება. ამ მოხსენებაში გრეჰემი აღიარებს, რომ ჩაიფუშა მისი ცდები — შეერიგებინა დავის მონაწილე მხარეები.

შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებმა შეიტანეს რეზოლუციის ერთობლივი პროექტი, რომლითაც წინადადებას აძლევენ ინდოეთისა და პაკისტანის წარმომადგენლებს „დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება გაერთიანებული ერების მთავარ ბინაში“, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება მათ შორის მთელ რიგ საკითხებზე. რეზოლუცია აგრეთვე მოითხოვს ეცნობოს უშიშროების საბჭოს ამ მოლაპარაკების შედეგები „არაუგვიანეს 30 დღისა რეზოლუციის მიღების დღიდან“.

ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი წინადადებას აძლევენ ინდოეთსა და პაკისტანს აწარმოონ მოლაპარაკება „გაერთიანებული ერების წარმომადგენლის“ მიერ ჩამოყალიბებული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც, როგორც თვითონ ეს წარმომადგენელი აღიარებს, არ მიიღეს ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებმა.

სხდომაზე ილაპარაკა ამერიკის დელეგატმა გროსმა, რომელმაც ყოველნაირად აქო გრეჰემისა და მისი სამხედრო მრჩევლის საქმიანობა, აგრეთვე ამერიკა-ინგლისის რეზოლუციის პროექტი.

საბჭოს არც ერთ წევრს, აგრეთვე ინდოეთისა და პაკისტანის წარმომადგენლებს არ გამოუთქვამთ გამოსვლის სურვილი, და საბჭოს სხდომა დაიხურა.

## დაიხურა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სრულიად პოლონეთის მეოთხე ყრილობა

**ვარშავა,** 7 დეკემბერი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სრულიად პოლონეთის მეოთხე ყრილობამ. მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა დელეგატმა.

ყრილობაზე გამოვიდნენ მეცნიერების მოღვაწეები, მაღაროელები, მშენებლები, ექიმები, პედაგოგები, მეცდლენი და პოლონეთის საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები, რომლებმაც ერთსულოვნად მოუწოდეს პოლონელ ხალხს განამტკიცოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა — პოლონელი ხალხის მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და ბედნიერი მომავლის გარანტია, გადაჭრით იბრძოლოს ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილებანი მოხსენებათა გამო და აირჩია პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგება. ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი წერილები ამხანაგ ი. ბ. სტალინისა და ბოლესლავ ბერუტისადმი.

**ვარშავა,** 7 დეკემბერი. (საკდესი). პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სრულიად პოლონეთის მეოთხე ყრილობის დელეგატები და უცხოელი სტუმრები იყვნენ პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძმათა სასაფლაოზე და გვირგვინებით შეამკეს პოლონეთისა და საბჭოთა იარაღის ძმობის ობელისკი და საბჭოთა არმიისადმი მადლობის ძეგლი.

## დამთავრდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

**ვენა,** 7 დეკემბერი. (საკდესი). დამთავრდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური. ერთთვიურის დროს ვენაში, ლინცში, გრაცში, ინსბრუკში, სანკტ-პელტენში, ვინერნოშტადტში და ბევრ სხვა ადგილას გაიმართა ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისადმი მიძღვნილი ათასობით მიტინგი, კრება, ლექცია, საუბარი. მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, ხელოსნები, საქმიანი წრეების მრავალრიცხოვანი წარმომადგენელნი ყველგან მოითხოვდნენ, რომ მშვიდობის დიდ ქვეყანასთან—საბჭოთა კავშირთან დამყარდეს მეგობრობა, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა.

განსაკუთრებით გულთბილად ხვდებოდნენ საბჭოთა მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის მოღვაწეთა დელეგაციის წევრების გამოსვლებს.

ერთთვიურის დღეებში ავსტრიის ათეულ ათასობით მშრომელმა ნახა საბჭოთა ფილმები „დაუვიწყარი 1919 წელი“, „თქმულება ციმბირის მიწაზე“, „ფიცი“, „გლინკა“ და ბევრი სხვა. გაძლიერდა მოთხოვნილება საბჭოთა პოლიტიკურ, მხატვრულ და მეცნიერულ ლიტერატურაზე.

დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა კავშირის ბუნების გარდაქმნისადმი მიძღვნილი გამოფენა ვენაში. მოკლე ხნის განმავლობაში ეს გამოფენა 10 ათასზე მეტმა კაცმა ნახა.

როგორც დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, ერთთვიურის დროს კიდევ უფრო გამომჟღავნდა ავსტრიის მოსახლეობის სიმპათიები დიდი საბჭოთა კავშირისადმი. მნიშვნელოვნად გადიდდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების რიგები.

## ჩეხოსლოვაკიის ნოტა ისრაელის მისიისადმი პრაღაში

**პრაღა,** 7 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში ისრაელის დროებით საქმეთა რწმუნებულს ჩეხოსლოვაკიაში ი. ზ. შეკს გადაეცა ნოტა, რომელიც ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას სასურველად არ მიაჩნია ჩეხოსლოვაკიაში ისრაელის დესპანის ა. ლ. კუბოვის ყოფნა იმის გამო, რომ საერთაშორისო ურთიერთობის ნორმებსა და ჩვეულებს არ შეესაბამება მისი საქმიანობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში.

ნოტაში, კერძოდ, ნათქვამია:

ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების ცენტრის პროცესზე, ინგლისის დაზვერვის აგენტის, ისრაელის მოქალაქის მარდოხე ორენის ჩვენებით გამოირკვა, რომ ისრაელის დესპანმა კუბოვიმ 1951 წლის დეკემბრის დამლევს უბრძანა მას შეეტყო ზოგიერთი გარემოება, რაც დაკავშირებული იყო გამცემისა და ჯაშუშის რ. სლანსკის დაპატიმრებისა და გამოძიების საქმესთან.

ეს ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ ისრაელის დესპანს კუბოვის ნებადაურთველი ურთიერთობა ჰქონდა ამ პირებთან, რომლებიც მტრულ და ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ, და თვითონ პირადად აძლევდა მათ მითითებებს.

ამის გამო ჩეხოსლოვაკიის მთავრობა იძულებულია განაცხადოს, რომ არასასურველია ჩეხოსლოვაკიაში ისრაელის დესპანის კუბოვის ყოფნა, და ისრაელის მთავრობას მოსთხოვოს დაუყოვნებლივ გაიწვიოს იგი ჩეხოსლოვაკიიდან.

## მაროკოს კომპარტიის გენერალური მდივნის დაპატიმრების გამო

**პარიზი,** 6 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ გუშინ დაჰკითხეს მაროკოს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ალი იატა, რომელიც დაპატიმრებულია პარიზის ფრენის საპყრობილეში და რომელსაც საფრანგეთის ხელისუფლები ბრალად სდებენ „სახელმწიფოს საგარეო უშიშროების ხელყოფას“. დაკითხვის დროს ალი იატამ განაცხადა, რომ გამომძიებლებს არავითარი საფუძველი არ მოეპოვებათ მისი ბრალდებისათვის, და მოითხოვა დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ იგი საპყრობილიდან.

## საბჭოთა კავშირის-გენოცვრი პირველობა ჭადრაკში

**მოსკოვი** (ტასი). [illegible] დაიწყო შეჯიბრება კრიგზე საბჭოთა კავშირის 1952 წლის გუნდური პირველობისათვის. ჩემპიონატში მონაწილეობას იღებენ მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

პირველ დღეს საქართველოს მოკრივეთა კოლექტივი შეხვდა ესტონეთის გუნდს. ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეებმა გამოიჩინეს შესანიშნავი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება და შეჯიბრება მოიგეს ანგარიშით 9:1. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სპორტის ოსტატი ნ. დარბაისელი, რომელმაც ნოკაუტით დამთავრა შეხვედრა გორიაჩევთან.

დღეს, 9 დეკემბერს, საქართველოს მოკრივეთა კოლექტივი შეხვდება მოსკოვისა და ბელორუსიის გუნდებს შორის გამარჯვებულს.

## სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონაჟი

### მეექვსე ტური

7 დეკემბერს რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში გაიმართა სსრ კავშირის მეოცე საჭადრაკო ჩემპიონატის მეექვსე ტური.

ყველზე ადრე დამთავრდა ალეიეცკი-კორჩნოის შეხვედრა. გაიმარჯვა კორჩნოიმ. ბიგშევის წინააღმდეგ სსრ კავშირის ჩემპიონმა კერესმა თამაშის მეორე ნახევარში შეცდომით შესწირა ორი პაიკი. მალე ბიგშევმა აქტიურად მიიტანა იერიში და მოხდენილი კომბინაციით მოიგო ლაზიერი მხედარში. 42-ე სვლაზე კერესმა დამარცხებულად ცნო თავი.

ბოლესლავსკიმ მოუგო კანს, მოისეევმა — ლიპნიცკის. სუეტინ-პრონშტეინმს, ტოლუშტაინმოვის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ბოტვინიკ-სიმაგინის, გელერ-ბოსლოვის, გოლდენოვ-ალონინისა და კონსტანტინოპოლსკი-კასპარიანის პარტიები გადადგა.

## სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასისათვის

დამთავრდა ტრადიციული შეჯიბრება ფეხბურთში სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასის მოსაპოვებლად. დასკვნით ასპარეზობამდე მოეწყო სალაქო და სოფლურ შეხვედრები, რომელებშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის 100-მდე გუნდმა.

საქალაქო და სოფლურ შეხვედრებში გამარჯვებულთა გადამწყვეტი შეჯიბრება მიმდინარეობდა თბილისში.

ფინალური შეჯიბრება გაიმართა 7 დეკემბერს. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონის საფეხბურთო მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და გორის „დინამოს“ გუნდები. თამაში მოიგეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:0. სამივე ბურთი გაიტანა მარცხენა გარემარბმა 6. ცაგარეიშვილმა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა კოლექტივს საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი.

## უნივერსიტეტის ლექტორიუმში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორიუმში 11 დეკემბერს შედგება დოცენტ ო. ტატიშვილის ლექცია „ამხანაგი სტალინი კომუნისტმა გადასვლის მომზადების ძირითადი პირობების შესახებ“, 17 დეკემბერს — პროფესორ ვ. მამასახლისოვის ლექცია „ვ. ი. ლენინი და თანამედროვე ფიზიკა“, 20 დეკემბერს—